საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 73 (617) ხუთშაბათი, 8 აპრილი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ მდინარე გუმისთაზე 6 აპრილსაც თითქმის სრული სიწყნარე იყო შენარჩუნებული. 19 საათისათვის კი მოწინააღმდეგემ ეშერის მიდამოებში მოახდინა მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მასობრივი კონცენტრაცია და დაიწყო საბრძოლო მოქმედებანი. კერძოდ, გახსნეს ცეცხლი ტანკებიდან, ნაღმსატყორცნებიდან, აქტიურად იყენებდნენ ყუმბარსატყორცნებსა და ავტომატურ იარაღს.

მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების თანმიმდევრული ჩახშობა დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.

იოსებ გოგეჩია.

ვითომ ჭირისუფლები არიან...

9 აპრილის ტრაგიკული მოვლენებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად „იკარუსის" მარკის ავტობუსებით თბილისისკენ ყოველდღიურად მოემართებიან დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონის მცხოვრებლები. მათი უმრავლესობა ვითომ ჭირისუფლები არიან. ფაქტიურად, პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი პიროვნებები. მათ სურთ ქართველი ხალხისათვის ეს ტრაგიკული დღე გამოიყენონ, რათა დესტაბილიზაცია შექმნან რესპუბლიკაში და, კერძოდ, თბილისში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დედაქალაქის სტუმართა შორის არიან ხნიერები, რომლებიც შეეცდებიან სისხლისღვრის პროვოცირების მიზნით მსხვერპლად გაწირონ ვინმე თავიანთი რიგებიდან. მათ განზრახული აქვთ აქციების ჩატარების დროს წინ ჩაიყენონ ქალები და ბავშვები.

ოლოლო — ნამდვილი ლაბორატორია კუტიშხაშია!

რუსეთის შეიარაღებული ძალები უკვე დიდი ხანია გამოუცხადებელ ომს აწარმოებენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. კონფლიქტში ჩარევის ძირითად საბაბს რუსეთის სამხედრო ხელისუფლებისათვის წარმოადგენს საიდუმლოებით მოცული სეისმური ლაბორატორია. საქართველოს ხელისუფლების ყოველგვარი ცდა გაირკვეს ეშერაში არსებული ლაბორატორიის საკითხი, რუსეთის მხარის ძლიერ წინააღმდეგობას აწყდება. ლაბორატორია რკინა ბეტონის ნაგებობაა, საკუთარი კვლევითი ცენტრით. ეშერის ლაბორატორია თითქოს განეკუთვნება განსაკუთრებით საიდუმლო ობიექტების რიცხვს. რუსეთის სპეცსამსახურის პრაქტიკაში საიდუმლო ობიექტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მის ახლოს აშენებენ მსგავს ობიექტებს. სწორედ ის არის ძირითადი ობიექტი და არა პირველი ნაგებობა, რაზედაც გამახვილებულია ყურადღება. ნამდვილი სეისმოლოგიური ლაბორატორია მდებარეობს სოფელ კუტიშხაში. ეშერის ლაბორატორია უნდა ვიფიქროთ, წარმოადგენს მსგავს ობიექტს. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ 2 აპრილს გაკეთებული განცხადება.

კონტაქტი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი



დიდია 9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს და უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, საქართველოს მოქალაქეებს

დიდია ცხრა აპრილის ისტორიული მნიშვნელობა. ეს დღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ცხრა აპრილს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი ნება—ნება თავისუფლებისა, ნება დამოუკიდებლობისა, ნება თავისთავადი განვითარებისა, რაც მთავარია, საქართველომ უმანკო, უდანაშაულო სისხლის ფასად სწორედ იმ ტრაგიკულ ღამეს ახალი ძალით შეიგრძნო ერთიანობისა და ერთსულოვნების ფასი და მნიშვნელობა. დიდება მათ ხსოვნას.

როგორც სახელმწიფოს მეთაური, როგორც მოქალაქე საქართველოსი, ვთხოვ ყველას, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, მოქალაქეებს ჩვენი ახლადფეხადგმული სახელმწიფოსი, ვაქციოთ ცხრა აპრილი არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოდ, იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელმაც ქართულ სახელმწიფოებრიობასთან მიგვიყვანა, არამედ საქართველოს ერთიანობის, ერთობის დღედაც. დაღუპულთა სისხლი ამას ითხოვს ჩვენგან, ახალქართული სახელმწიფოს პირველი მშენებლებისაგან.

სწორედ ამ განწყობილებით უნდა აღინიშნოს ეს დღე ჩვენს ქვეყანაში.

ედუარდ შევარდნაძე.

სოჭიდან გვატყობინებენ

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება

აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების მთელ ხაზზე ცეცხლის შეწყვეტამ ოპტიმიზმით აღავსო საქართველო-რუსეთის სოჭის მოლაპარაკების სამივე სამუშაო ჯგუფის წევრები.

სანამ 7 აპრილს სასტუმრო კომპლექს „ჟემჩუჟინაში" დახურულ კარს მიღმა ორივე ქვეყნის დელეგაციათა მიერ წამოყენებულ პრობლემებს განიხილავდნენ, საქინფორმის კორესპონდენტებმა ბლიც-ინტერვიუ ჩამოართვეს მოლაპარაკების მონაწილეებს:

თენგიზ სიგუა, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი

მოლაპარაკების პირველმა დღემ კარგად ჩაიარა. მთავარი ის არის, რომ პარტნიორთა ურთიერთობა კეთილმოსურნეა. სამმა ჯგუფმა, რომლებისთვისაც ჩვენმა დელეგაციამ მოამზადა დოკუმენტების შესაბამისი პაკეტები, მუშაობა დაიწყო.

ჩვენი პოზიციაა განუხრელად განვახორციელოთ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების დებულება. ჩემი აზრით, შევძლებთ შევქმნათ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის უმაღლესი დონის შეხვედრის წანამძღვრები. მთავარი, რასაც ახლანდელი მოლაპარაკებისაგან მოველით, მშვიდობა, ვითარების სტაბილიზაცია და დაძაბულობის მოხსნაა. მხოლოდ ამას შეუძლია აღადგინოს ჩვენი ტრადიციული კეთილი ურთიერთობა და ჩვენი სახელმწიფოების ეკონომიკური კავშირურთიერთობანი.

პაველ გრაჩოვი, რუსეთის თავდაცვის მინისტრი რუსეთის ფედერაციის მთავრობის დელეგაციის მეთაური

პრეზიდენტ ბორის ელცინისა და რუსეთის მთელი დემოკრატიული ძალების სახელით მინდა მადლობა მოვახსენო ედუარდ შევარდნაძეს კონსტიტუციური კრიზისის პერიოდში მხარდაჭერისათვის. მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რუსეთი ყოველთვის ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეს კვლავაც ასე იქნება, მაგრამ იმ პირობით, რომ აფხაზეთს, რომელიც უეჭველად საქართველოს განუყოფელი ნაწილია, გარანტირებული ექნება ავტონომიის ყველა უფლება.

რუსეთის საზოგადოებრიობა მტკივნეულად აღიქვამს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის ისეთ შედეგებს, როგორიც არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვა-ვაება, ლტოლვილები. და ამ ეტაპზე პოლიტიკური საკითხის გადაუწყვეტლად იგი ჯეროვნად ვერ აღიქვამს სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს შეთანხმებებს. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ გადავწყვიტოთ აფხაზეთის კონფლიქტი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური გზით.

ჩვენი დელეგაცია მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება ერთი შედეგის — მშვიდობისა და სტაბილიზაციის მისაღწევად, რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელთა შეხვედრის მოსამზადებლად.

ჯაბა იოსელიანი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბუნებრივია, რომ მოლაპარაკებაზე მთავარია აფხაზეთის საკითხი, მაგრამ მისი განხილვისას ერთმანეთს არ უნდა ვდებდეთ ბრალს, რადგან ეს ახალ დაძაბულობას ქმნის. პროვოკატორები ყოველთვის მოინახებიან, რათა ხელი შეუშალონ კონფლიქტის მოწესრიგებას. საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოთ, რა გვსურს ჩვენ, ქართველთა მხარეს, და რა უნდათ მათ — აფხაზებს. ჩვენ გვინდა მშვიდობა, აფხაზი ექსტრემისტები კი ბრძოლას განაგრძობენ. მინდა გავარკვიო, რა სურთ და ამიტომ ტყვეებთან საუბრისას ვეკითხები ხოლმე მათ: რისთვის იბრძვიან? მიზეზი რომ სამართლიანი იყოს, მე მივემხრობოდი აფხაზებს და განვაგრძობდი ბრძოლას, მაგრამ ტყვეთაგან ვერავინ გამცა მკაფიო პასუხი. იშველიებენ ამას, რომ ბერია ხვრეტდა აფხაზებს. განა ეს მიზეზია, რომ ახლა იომონ, დახოცონ მშვიდობიანი მცხოვრებნი, დაანგრიონ სახლები? განა ღირს მეოთხე თაობაში გაიხსენონ წარსული და ძმათამკვლელი ომი გააჩაღონ. აფხაზებმა კარგად იციან, რომ ბერიამ ნახევარი საქართველოც დახვრიტა. ყველაფერი ეს აფხაზ ექსტრემისტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გაამართლონ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედება, ვფიქრობ, რომ ერთმანეთს სიმართლეს ვეტყვით და მშვიდობა დაისადგურებს ჩვენს მიწაზე.

თენგიზ კიტოვანი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი

როგორც ცნობილია, რუსეთმა ცნო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობა და მისი საზღვრების შეუვალობა. აქედან გამომდინარე აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის ჩვენმა დელეგაციამ წამოაყენა წინადადებანი.

საჭიროა ბოლოს და ბოლოს მოისპოს დაძაბულობის კერა, რომელსაც იწვევს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვემო ეშერის უბადლებული სეისმური ლაბორატორია. გაყვანილ უნდა იქნეს ქალაქ სოხუმის „შუქურის" მიკრორაიონის ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების 901-ე ცალკე საჰაერო-სადესანტო ბატალიონი. უნდა გადაწყდეს გუდაუთიდან 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ხელახალი დისლოკაციის საკითხი.

დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია რუსეთთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის საიმედოდ ჩაკეტვის პრობლემა, რათა არ დავუშვათ ჩვენს ტერიტორიაზე შეიარაღებული დაქირავებულების შემოსვლა.

რუსეთის დელეგაციის წინაშე დავაყენოთ საქართველოსათვის შავი ზღვის ფლოტის ნაწილის დაბრუნების საკითხი.

ყოველივე ეს უნდა გადაწყდეს აფხაზეთში „გორდიას კვანძის" პოლიტიკური საშუალებებით გასახსნელად.

აფხაზეთში კონფლიქტის მთელ ხაზზე ცეცხლი შეწყდა და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს სამუდამოდ ასე იქნება.

ბორის პასტუხოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

ჩვენ მოველით შედეგს, რომელსაც კმაყოფილებით აღიქვამენ როგორც საქართველოში, ასევე რუსეთშიც. ჩვენ გვაქვს ყველა საფუძველი შემოვაბრუნოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახლანდელი დაძაბულობის პროცესიდან მისი შენელებისაკენ. ჩვენ ყოველთვის გვაკავშირებდა ბევრი რამ, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ და, ეჭვი არ გვეპარება, კვლავაც ვიამაყებთ ჩვენი კეთილმეზობლობით. აუცილებელია თანამშრომლობა, რომელიც ჩვენ ყოველთვის გვეხმარებოდა. მხედველობაში მაქვს ეკონომიკური თანამშრომლობა.

მოლაპარაკების მონაწილენი ერთსულოვანნი ვართ: ყველა პრობლემის თავიდათავი აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაა.

ვფიქრობ, პრობლემების სირთულის მიუხედავად, შევძლებთ მივაღწიოთ გარკვეულ წარმატებებს.

მიხეილ უკლება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

დადგა დრო, მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებანი კონკრეტულ საკითხებზე, ორივე დელეგაციაში შედიან სამხედრო სპეციალისტები, ექსპერტები, ეკონომისტები, ფინანსისტები. და თუ აქ მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს, ბოლოს და ბოლოს უმაღლეს დონეზე ხელშეკრულებათა პაკეტის ხელმოწერაც უნდა დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ მთელ რიგ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის, კერძოდ, საქართველოში რუსეთის სასაზღვრო ჯარების ყოფნა, უკვე მიღწეულია გარკვეული შეთანხმებანი.

მიმდინარეობს მოლაპარაკება. ველით შედეგებს.

* * *

7 აპრილს სოჭის მოლაპარაკებაზე რუსეთისა და საქართველოს სამთავრობო დელეგაციების ხელმძღვანელებმა პაველ გრაჩოვმა და თენგიზ სიგუამ ორ საათს ისაუბრეს პირისპირ. შემდეგ მათ მონაწილეობა მიიღეს ჯგუფის მუშაობაში, რომელმაც განიხილა სამხედრო საკითხები. ჟურნალისტებისათვის პაველ გრაჩოვმა და თენგიზ სიგუამ გააკეთეს განცხადება. მათ აღნიშნეს, რომ მოლაპარაკებაზე კეთილმოსურნეობის ატმოსფერო სუფევს. ორივე მხარე ისწრაფვის მიაღწიოს შეთანხმებას, მოხსნას დაძაბულობა და კონსტრუქციულად გადაწყვიტოს წამოჭრილი პრობლემები.

„უწინარეს ყოვლისა განვიხილეთ აფხაზეთის საკითხი, — თქვა თენგიზ სიგუამ, — კერძოდ, ეშერის ტერიტორიაზე მიწისქვეშა სეისმური ლაბორატორიის არსებობის საკითხი. ფაქტობრივად იგი უკვე აღარ არის. მთელი მოწყობილობა იქიდან გატანილია, მაგრამ, რატომღაც პირდაპირ საბრძოლო მოქმედების ხაზზე დარჩა რუსეთის სამხედრო ნაწილი. მიგვაჩნია, რომ საჭიროა მისი იქიდან გაყვანა. ამ ნაწილის იქ ყოფნა პროვოკაციულია. მის ტერიტორიაზე ყოველთვის მოხვდება ჭურვები და არ არის გამორიცხული რუს სამხედრო მოსამსახურეთა დაჭრა ან დაღუპვა, რაც სოხუმის დაბომბვის საბაბი ხდება.

მოვრიგდით, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება და ჩვენი სამხედრო ექსპერტები განაგრძობენ მის განხილვას. აგრეთვე განვიხილეთ ადლერის კვანძიდან რკინიგზაზე მოძრაობის აღდგენის პრობლემა. ფაქტობრივად ეს კვანძი დღეს აღარ მუშაობს, არადა მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სომხეთისთვისაც. მომზადდა და ორივე მხარემ ძირითადად შეათანხმა დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნის ბოლო ვადად მიჩნეულია 1995 წლის 31 დეკემბერი.

სამუშაო ჯგუფები განაგრძობენ სხვა საკითხების, უწინარეს ყოვლისა ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხის განხილვასაც.

ბატონმა სიგუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკებაზე ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ მომზადდეს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის უმაღლესი დონის შეხვედრა.

— თუ შევათანხმებთ შესაბამის დოკუმენტებს იმ დონეზე, — თქვა მან, — რომ შესაძლებელი იქნება მათზე ხელის მოწერა, მაშინ უკვე უახლოეს დროში ასეთი შეხვედრა უბრალოდ აუცილებელი გახდება.

დოკუმენტები პრაქტიკულად მომზადდა და ისინი იხვეწება.

მრავალი პოზიციის მიხედვით სიტუაცია გაირკვა და შეიმჩნევა აზრთა დაახლოება.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პ. გრაჩოვმა, რომელიც საერთოდ დაეთანხმა მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას აზრს, თქვა, რომ ზოგიერთი საკითხი ჯერჯერობით ვერ წყდება ისე, როგორც ეს რუსეთის მხარეს სურს.

ჩვენ დავამუშავეთ საკითხი საბრძოლო მოქმედების მთელ ხაზზე ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტის შესახებ. ბატონ სიგუასთან კონფიდენციალური საუბრისას ჩვენ მოვრიგდით და დავსახეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად აფხაზეთში ვითარების სტაბილიზაციისათვის. ჩვენ დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ შესაძლო და სასურველია ჯარების გაყვანა თუნდაც რამდენიმე კილომეტრით. მე წინადადება წამოვაყენე რომ დაპირისპირების ხაზიდან ორივე მხარეს მათ სამი კილომეტრით გადაინაცვლონ, რათა უზრუნველვყოთ უსაფრთხოება სატანკო იარაღიდან სროლის დროსაც კი. ეს პირველი მომენტი.

ჩვენ მოვრიგდით გადავწყვიტოთ ეშერაში მდებარე ლაბორატორიის ბედი, რომელსაც იცავენ ჩვენი ჯარები და რომელიც თითქოსდა სასინჯ ქვად იქცა ჩვენს ურთიერთობაში, ანუ სამხედრო ურთიერთობაში.

წინადადება წამოვაყენეთ სეისმური ლაბორატორია და მის გარშემო ფართობი ვცნოთ ხელშეუხებელ ზონად, რომელიც შემოღობილი იქნება შესაბამისი მაჩვენებლებით, საჭიროების შემთხვევაში კი შევნიღბოთ. აქ ჩვენი აზრები ერთმანეთს არ დაემთხვა. საქართველოს მხარე მოითხოვს ამ ზონიდან ჯარების გაყვანას. ჩვენ მოვითხოვდით იქ ჯარების დატოვებას.

განვიხილეთ ადლერიდან და იქით ერევნამდე რკინიგზის დაცვის საკითხიც. ჩვენი აზრები აქაც არ დაემთხვა ერთმანეთს, რადგან საქართველოს მხარე მოითხოვს, რომ ყველა შეიარაღებული ფორმირება დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რომელიც ეკავათ მათ გასული წლის ოქტომბერში.

და კიდევ ერთი უთანხმოება, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნას. ჩვენ მოვრიგდით, რომ რუსეთის ჯარები აქ იქნებიან 1995 წლამდე. ამას ყველა ეთანხმება, მაგრამ ბატონი იოსელიანი წინადადებას აყენებს ისინი აფხაზეთიდან გავიყვანოთ.

ზოგიერთ საკითხში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ მოლაპარაკება ჩიხში არ მოექცევა და მივაღწევთ ურთიერთმისაღებ შეთანხმებებს.

გ. ჩიქოვანი,
ვ. გოლოვინი,
ა. სანებლიძე.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის დეპუტატების არჩევნების დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს 1993 წლის 27 ივნისს საქართველოს პარლამენტის დეპუტატების არჩევნები 3. 15 ლაგოდეხის, 6. 59 ქუთაისის, 7. 61 ლანჩხუთის, 8. 70 ფოთის და 9. 73 გალის საარჩევნო ოლქებში.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
მერაბ ალექსიძე.
კომისიის მდივანი
ნუგზარ სხირტლაძე.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი 3. 15 ლაგოდეხის, 6. 59 ქუთაისის, 7. 61 ლანჩხუთის, 8. 70 ფოთის და 9. 73 გალის საარჩევნო ოლქებში

საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო უბნების შექმნა

1. საარჩევნო უბნის შექმნა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ —არა უგვიანეს 13 მაისისა.
2. საარჩევნო უბნის ნომრების, საზღვრებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართების გამოქვეყნება ადგილობრივ (გაზეთებში — უბნის შექმნიდან 5 დღის ვადაში.
3. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატურების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის და პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრის დანიშვნა — უბნის სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-6 დღისა.
4. საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შევსება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ — უბნის სიის გამოქვეყნებიდან მე-7-მე-9 დღე.
5. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და 2 წევრის დანიშვნა — უბნის სიის გამოქვეყნებიდან მე-7-მე-10 დღე.
6. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა — კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არა უადრეს უბნების სიის გამოქვეყნებიდან მე-7 დღისა.
7. ამომრჩეველთა სიების გამოკვრა საარჩევნო უბნებში — არა უგვიანეს 17 ივნისისა (საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში არა უგვიანეს 24 ივნისისა).

დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა წარდგენა და მათი რეგისტრაცია

8. დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატის წარსადგენად განცხადების შეტანა ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში — 3-10 მაისი.
9. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ადგილობრივ კანდიდატთა საარჩევნო ბარათების გადაცემა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის — არა უგვიანეს 14 მაისისა.
10. ადგილობრივი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — არა უგვიანეს 17 მაისისა.
11. დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა რეგისტრაცია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — 18-22 მაისი.
12. დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა გვარების გამოქვეყნება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ — რეგისტრაციის დამთავრებიდან 7 დღის ვადაში.

წინასაარჩევნო აგიტაცია

13. დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემებისა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებების ტექსტების წარდგენა საოლქო კომისიისათვის — არა უგვიანეს 28 მაისისა.
14. წინა პუნქტში აღნიშნული მასალის გამოცემა და გავრცელება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ — არა უგვიანეს 12 ივნისისა.
15. ადგილობრივი კანდიდატების მიერ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული წერილების წარდგენა ადგილობრივი გაზეთებისათვის — არა უგვიანეს 17 ივნისისა.

არჩევნების დაფინანსება

16. არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხის ჩარიცხვა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ — არა უგვიანეს 27 აპრილისა.
17. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების გამოყენებისა და განაწილების წესის დადგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ — არა უგვიანეს 2 მაისისა.
18. საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის თანხების ჩარიცხვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ — არა უგვიანეს 2 მაისისა.

ნომერში

⊙ საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონი. 2-3
⊙ ტეხასური სინდრომი. 4

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

თეთრი სახლის საინფორმაციო სამსახურის უფროსის სტეფანოპულოსის ბრიფინგი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტებმა ელცინმა და კლინტონმა დაწვრილებით განიხილეს საქართველოში შექმნილი სიტუაცია, სადაც ყოფილი სსრ კავშირის ცალკეულ საჯარისო ნაწილებს ბრალად ედებათ კონფლიქტში მონაწილეობა სეპარატისტთა მხარეზე. სტეფანოპულოსმა მოკლედ მიმოიხილა ამ საკითხის გამო გამართული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა პირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მაგალითია საყოველთაო შეშფოთებისა, რადგან ლოკალურ კონფლიქტს შეიძლება ფართო მასშტაბის სისხლისღვრა მოჰყვეს. იუგოსლავიის მოვლენები ადასტურებს, რომ ეს შეშფოთება საფუძვლიანია და იგი რაღაც განყენებულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

საქართველოში ცალკეულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა შეიძლება შექმნან ქვეყნის რუსი მოსახლეობით დასახლებული ცალკეული ნაწილების გამოყოფის საფრთხე. „შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული წითელი არმიის ნაწილების მოქმედება ხელს არ უწყობს შერიგების პროცესს", განაცხადა მან. პრობლემა ის არის, თუ როგორ შევწყვიტოთ ძალადობა, რომელიც თანდათან უფრო ფართო მასშტაბს იძენს და რა ნაბიჯს გადადგამს პრეზიდენტი ელცინი ამ მიმართულებით.

ცნობა ვენიდან

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია მიღებულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად ფილიალის სტატუსით. 1993 წლის 12-13 ივნისს ვენაში გაიმართება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სხდომა, რომელზეც საქართველოს ასოციაციას მიიღებენ ამ ორგანიზაციის წევრად.

ცნობა ამის თაობაზე 4 აპრილს მოვიდა საქართველოს ასოციაციის პრესცენტრში. წერილს ხელს აწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური მდივანი დოქტორი რობერტ ჩემბერსი.

საქართველოს რესპუბლიკის ერთაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის

განცხადება

ამ უკანასკნელ ხანს საზოგადოებაში, საინფორმაციო წყაროებში, განსაკუთრებით პრესაში, პარლამენტშიც კი ცალკეული პირების მხრიდან ისმის მოთხოვნები ოპოზიციური გაზეთების მიმართ რეპრესიული ზომების მიღებაზე, რაც პრესის თავისუფლების პირობებში სრულიად შეუწყნარებელია.

სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პროცესში ამგვარი მოთხოვნა, რომელიც არასამართლებრივი აზროვნებისა და სულისკვეთების გამოვლინებაა, მხოლოდ დამაბრკოლებელი შეიძლება იყოს და უკან გვაბრუნებს ტოტალიტარული წყობისაკენ.

ამგვარი გამოხდომები ხელ-ფეხს უხსნის ექსტრემისტულად განწყობილ ძალებს, ხშირ შემთხვევაში, ცალკეულ ენთუზიასტებს მათთვის არასასურველი გაზეთებისა თუ პირების დასარბევად.

რაც უნდა მიუღებელი იყოს პოზიციურ პრესაში გამოქვეყნებული მასალა, ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მათ წინააღმდეგ არაცივილიზებული მეთოდები იქნას გამოყენებული.

ერთადერთი მეთოდი ბრძოლისა პრესაში გამოთქმული მიუღებელი აზრის წინააღმდეგ უნდა იყოს მისი საჯარო მხილება პრესაშივე, ხოლო აშკარა ცილისწამების შემთხვევაში ადამიანის ღირსების დაცვა სასამართლოს საშუალებით.

ამავე დროს, კომიტეტი მოუწოდებს საინფორმაციო წყაროთა, ე. წ. მეოთხე ხელისუფლების, მესვეურებს, გამოიჩინონ მორალური პასუხისმგებლობა და თავი შეიკავონ პიროვნების შეურაცხმყოფელი პუბლიკაციებისაგან, არ დაუშვან განზრახ ნაყალბევი თუ შეუმოწმებელი ცნობების გავრცელება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები აფხაზეთში

გუშინ სოხუმში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი პერ კარსტრემი, რომელიც წინათაც ყოფილა აფხაზეთში. საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ გაურბის პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, რადგან ეს თეოდორ სტარჩევიჩის — საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენლის კომპეტენციაა. ბატონმა კარსტრემმა განაცხადა, რომ საქართველოში მალე ჩამოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფაქტების დამდგენი სათვალავით მესამე მისია, რომლისთვისაც მან ინფორმაცია უნდა მოაგროვოს. ამ მიზნით იგი უკვე ეწვია ოჩამჩირეს, და თუ შესაძლებლობა ექნება გუდაუთაშიც გაემგზავრება.

ბატონ კარსტრემის აზრით ძალიან გაჭირდება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა. როგორც მან თქვა, რეალისტური არ არის გუდაუთის მხარის მიერ წამოყენებული წინასწარი მოთხოვნები, რომ საქართველომ აფხაზეთიდან უპირობოდ გაიყვანოს შეიარაღებული ძალები.

ყურადღება!

პატივცემულო მკითხველო!

ვიცით, დღევანდელ საქართველოში, რომელიც ომს და საყოველთაო გაჭირვებას მოუცავს, თითოეულ თქვენგანს უთვალავი საფიქრალი და საზრუნავი გაჩენია, უამრავი კითხვა, პრობლემა და სატკივარი აწუხებს, რომლებზეც ვერსაიდან პასუხი ვერ მიუღია. იქნებ ეს ვაკუუმი შეავსოს ღონისძიებამ, რომლის ორგანიზებაც გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა: **წინასწარ შეთანხმებულ დღეებსა და საათებში რედაქციაში იქნებიან რესპუბლიკის მინისტრები, რომლებიც პასუხს გასცემენ მკითხველთა როგორც წერილობით გამოგზავნილ, ისე სატელეფონო საუბრისას წამოჭრილ კითხვებსა და პრობლემებს.**

მოსახლეობასთან ასეთი ღია საუბრის სურვილი ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა **მიხეილ ჯიბუტმა**. ბატონი მიხეილი გაზეთის რედაქციაში იქნება შაბათს, 17 აპრილს 11-დან 13 საათამდე. მანამდე კი თქვენ შეგიძლიათ შეკითხვები გამოგზავნოთ წერილობით, ხოლო დანიშნულ საათებში მინისტრს პირადად ესაუბროთ ტელეფონზე 99-73-24. ყველა შეკითხვას გაეცემა პასუხი და გამოქვეყნდება გაზეთში.

მაშ ასე, ველით თქვენს კითხვებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

მომზადებულია საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიისა და ფრაქცია „ალორძინების" მიერ.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონი

ეს კანონი წარმოადგენს საქართველოში საადგილმამულო ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც ამკვიდრებენ და განამტკიცებენ საქართველოს სახელმწიფოს ცალკეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიწათსაკუთრების და მიწათსარგებლობის უფლებებს. მისი მიზანია მიწის საკუთრებისა და სარგებლობის ტრადიციული ფორმების აღდგენა, მიწის რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დასაცავად პასუხისმგებლობის გაძლიერების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საადგილმამულო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები:

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში არსებული მიწა შეადგენს ეროვნულ სიმდიდრეს. მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფოა; მიწის მესაკუთრე, მფლობელი ან მოსარგებლე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი.

მიწის საკუთრება, მფლობელობა და სარგებლობა ფასიანია, რაც განისაზღვრება მთავრობის მიერ დადგენილი წესით;

მიწის ადრინდელი (კოლექტივიზაციამდელი) მესაკუთრისათვის დადგენილი ნორმის ფარგლებში ნაკვეთის დაბრუნება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ძველი საზღვრების აღდგენა და ამით არ შეილახება ვინმეს კანონიერი ინტერესი;

უკანონოდ მითვისებული მიწის ნაკვეთი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მეპატრონეს. მეპატრონეში ამ კანონით იგულისხმება მიწის მესაკუთრე, მიწათმფლობელი და მიწათმოსარგებლე;

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის მიწის ფონდი

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის მიწის ერთიანი ფონდი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
ბ) დასახლებული ადგილების მიწა;
გ) სპეციალური დანიშნულების (მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაცვითი, ბუნებადაცვითი, გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული) მიწა;
დ) საეკლესიო-სამონასტრო მიწა;
ე) ტყის ფონდის მიწა;
ვ) წყლის ფონდის მიწა;
ზ) ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მიწა;
თ) სამარაგო მიწა.

დასახელებული კატეგორიებისათვის მიწის მიკუთვნება და ერთი კატეგორიიდან მეორეში გადატანა ხდება რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, რასაც ამტკიცებს პარლამენტი.

თავი I

მიწის საკუთრება, მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა

მუხლი 3. მიწის საკუთრება

მიწაზე არსებობს კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრება.

მუხლი 4. მიწის კერძო საკუთრების სუბიექტები

მიწის კერძო მესაკუთრე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც მოცემულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს სულ ცოტა 16 წელი. მოქალაქეს ნაკვეთი კერძო საკუთრებაში ეძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით საკომლო (გლეხური) მეურნეობისათვის, საკარმიდამოდ, საგარაკოდ, ბინათმშენებლობისათვის და ინდივიდუალური დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად. ორი ათას წლამდე მიწის ყიდვა-გაყიდვა არ დაიშვება.

მუხლი 5. მიწის სახელმწიფო საკუთრება

სახელმწიფო საკუთრებაშია ყველა მიწა, გარდა იმისა, რაც გადაცემულია კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებაში.

მუხლი 6. მიწის საზოგადოებრივი საკუთრება

სასოფლო-სათემო, სადაბო-საქალაქო და საეკლესიო-სამონასტრო მიწა საზოგადოებრივ საკუთრებაში სამეურნეო დანიშნულებისათვის (მათ შორის საცხოვრებლად) გაიცემა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებით. მათთვის მიწის გამოყოფა განისაზღვრება ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

მუხლი 7. მიწათმფლობელობა

მფლობელობაში მიწა ეძლევათ მოქალაქეებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ეკლესია-მონასტრებს სასოფლო და სხვა მეურნეობის გასაძღოლად, საწარმოო-კომერციული საქმიანობისათვის და ერთობლივ საწარმოთა გასამართავად.

მუხლი 8. მიწათსარგებლობა

მიწა დროებით ან მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლების გარეშე ეძლევათ საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე სამრეწველო, სატრანსპორტო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, თავდაცვის ორგანოებს, სასულიერო ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ერთობლივ საწარმოებს, საქართველოს რესპუბლიკისა და უცხოელ იურიდიულ პირებს.

მიწით სარგებლობის ვადებს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობა.

მუხლი 9. მიწის გაცემა იჯარით

მიწა გაიცემა საქართველოს და უცხოელ მოქალაქეებზე მოკლე (1-5 წელი) და გრძელვადიანი (5-20 წელი) იჯარით.

ყამირი და ჯაგნარით დაფარული მიწა სახელმწიფომ შეიძლება გასცეს მოქალაქეებზე სანაშენო (გრძელვადიანი) იჯარით. თუ მოიჯარე გააშენებს ბაღს, ვენახს, ციტრუსს ან ნებისმიერ სხვა კულტურას, რომელთა სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ (რაც ხელშეკრულებით ფორმდება) გაშენებული ბაღ-ვენახის ნახევარი გადაეცემა გამშენებელს საკუთრებაში ან მფლობელობაში. ამ დრომდე მოიჯარე თავისუფლდება მიწის ყოველგვარი გადასახადისგან. თუ მოიჯარე უარს იტყვის თავის კუთვნილ ბაღ-ვენახზე, მაშინ (შეთანხმების საფუძველზე) იგი ყოველწლიურად იხდის საიჯარო გადასახადს. აკრძალულია მეორადი იჯარა. საიჯარო ურთიერთობებს არეგულირებს სპეციალური კანონმდებლობა.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ქალაქის გამგებლობაშია, მაგრამ გამოუყენებელია, შეიძლება მიეცეთ გრძელვადიანი სარგებლობისათვის მოქალაქეებს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად. სარგებლობის საფასური განისაზღვრება საერთო წესით.

შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის ტყის მიწის იჯარით გამოყენება. იგი ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებით და შესაბამის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით. ტყის მიწით იჯარით სარგებლობის საფასური განისაზღვრება არსებული კანონმდებლობით.

სოფლის თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სამარაგო მიწა — საძოვრები, სათიბები, სახნავები და სხვა — იჯარით მიეცემა უპირატესად სოფლის მოსახლეობას. ამ გზით მიღებული საიჯარო შემოსავალი გადადის სოფლის თვითმმართველობის განკარგულებაში და ხმარდება სოფლის კეთილმოწყობას.

თავი II

მიწის გამოყენების და დაცვის ორგანიზაცია

მუხლი 10. მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მმართველობა

მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მმართველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ორგანოები, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის უფლებამოსილება საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგებაში

საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგებაში შეადგენს:

ა) კონტროლი რესპუბლიკის საზღვრებში არსებული მიწის განკარგვაზე;
ბ) საადგილმამულო ურთიერთობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მიღება და სრულყოფა.
გ) სახელმწიფო და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების დადგენა;
დ) კონტროლი მიწის სახელმწიფო კადასტრის წარმოებაზე;
ე) სახელმწიფო მარაგიდან სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის ზღვრული ნორმების პრინციპების განსაზღვრა;
ვ) მიწის გადასახადების ზღვრული ნორმების, გადახდის წესისა და შეღავათების დადგენა;
ზ) ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგებასთან დაკავშირებული დადგენილებებისა და სხვა აქტების დამტკიცება;
თ) მიწის ნაყოფიერების აღდგენისა და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე მინისტრთა კაბინეტის მიერ ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა.

მუხლი 12. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილება საადგილმამულო ურთიერთობებში

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას შეადგენს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული მიწის მფლობელობასა და სარგებლობაში გაცემის კონტროლი;
ბ) შინარესპუბლიკური (ქალაქები, დაბები, რაიონები, სოფლები) საზღვრების დადგენა;
გ) მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის კონტროლი;
დ) საკუთრების, მფლობელობისა და სარგებლობისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის ნორმების განსაზღვრა;
ე) სპეციალური დანიშნულების მიწების გაცემა;
ვ) მიწის გადასახადების ოდენობის და გადახდის წესის დადგენა;
ზ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დადგენილებებისა და საკანონმდებლო აქტების განხილვა-დამტკიცება;
თ) გარემოს დაცვის მოთხოვნის შესრულებაზე კონტროლი.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილება საადგილმამულო ურთიერთობებში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებას შეადგენს:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში არსებული მიწის განკარგვა;
ბ) ცალკეულ მესაკუთრეებზე საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი;
გ) მიწათმოწყობისა და მიწის სახელმწიფო კადასტრის წარმოების ორგანიზაცია;
დ) საადგილმამულო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი. საგადასახადო-სადაზღვევო ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა;
ე) საქართველოს რესპუბლიკის მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა;
ვ) მიწის ცალკეული კატეგორიებისადმი მიკუთვნება;
ზ) მიწის რაციონალური გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, მიწის რესურსების დაცვისა და აღდგენის პროგრამების შემუშავება;
თ) მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის უფლების ჩამორთმევის დამტკიცება;
ი) ავტონომიურ რესპუბლიკებში საადგილმამულო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლი.

მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილება საადგილმამულო ურთიერთობებში

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილებას საადგილმამულო ურთიერთობაში შეადგენს:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული მიწის გაცემა;
ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი.
გ) მიწათმოწყობის ორგანიზაცია;
დ) საგადასახადო-სადაზღვევო ღონისძიებათა რეალიზაციის კონტროლი; მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა;
ე) მიწის სწორი გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, მიწის რესურსების დაცვისა და აღდგენის პროგრამების შემუშავება;
ვ) გარემოს დაცვის კონტროლი.

მუხლი 15. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება საადგილმამულო ურთიერთობებში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებას შეადგენს:

ა) მიწის ნაკვეთის გაცემა საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე;
ბ) მიწის საკუთრებისა და სარგებლობის დამადასტურებელი აქტების გაცემა, საიჯარო ხელშეკრულებების დამტკიცება;
გ) შინასაქალაქო და შინასასოფლო მიწათმოწყობა და მიწის კადასტრისათვის სათანადო მასალების შეგროვების ორგანიზაცია;
დ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიწის ჩამორთმევა;
ე) მიწის გადასახადისა და გადასახდელების აკრეფა;
ვ) მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი მიწის [illegible], ნაყოფიერების დაქვეითებისა და ეროზიული მოვლენების თავიდან ასაცილებლად;
ზ) ნაკვეთების შერჩევა და გაცემა საკომლო მეურნეობებისათვის, საკარმიდამოდ, საგარაკო მშენებლობისათვის და ერთობლივი საწარმოებისათვის;
თ) საადგილმამულო ურთიერთობებში ეთნოგრაფიული კუთხისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების გათვალისწინება.

თავი III

მიწის მეპატრონეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 16. მიწის მეპატრონის უფლებები

მიწის მეპატრონეს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად გაუძღვეს მეურნეობას, თავისი შეხედულებისამებრ აწარმოოს შესაბამისი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და განკარგოს იგი საკუთარი შეხედულებისამებრ, გამოიყენოს დაქირავებული მუშახელი;
ბ) მეურნეობის საჭიროებისათვის, მის განსავითარებლად გამოიყენოს მიწის ნაკვეთში არსებული არასტრატეგიული დანიშნულების რესურსები;
გ) გასცეს დროებით სარგებლობაში ან იჯარით მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი ან მისი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობით.
დ) ააშენოს სამეურნეო, საწარმოო, კულტ-საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და სხვა სახის შენობა-ნაგებობანი;
ე) მიწის მესაკუთრეს და მფლობელს უფლება აქვთ ნებაყოფლობით უარი თქვან დაკავებულ ფართობზე;
ვ) მიწის ნაკვეთზე ნებაყოფლობით უარის თქმის (ან მოქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის ჩამორთმევის) შემთხვევაში აუნაზღაურდეთ მიწის ნაყოფიერების ზრდის, მისი კეთილმოწყობის, ბუნების დაცვის მიზნით გაწეული ყველა ხარჯი;
ზ) შეინარჩუნოს ქალაქის ან დაბის ახლადდადგენილ საზღვრებში ადრინდელი უფლებები.

მუხლი 17. მიწის მეპატრონეთა მოვალეობები

მიწის მეპატრონე ვალდებულია:

ა) გაუფრთხილდეს მიწას, გამოიყენოს იგი მიზნობრივი დანიშნულებით, არ დაუშვას ნიადაგის თვისებების გაუარესება, ნაყოფიერების შემცირება და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა;
ბ) არ გააშენოს კანონით აკრძალული კულტურები;
გ) არ შელახოს მომიჯნავე მიწის მეპატრონის ინტერესები;
დ) დაიცვას კუთვნილ ნაკვეთზე გამავალი კომუნიკაციები და საინჟინრო ნაგებობებისთვის დადგენილი ზონების ხელშეუხებლობა;
ე) არ დააზიანოს კუთვნილ ნაკვეთზე ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები;
ვ) შეწყვიტოს მიწათსარგებლობა ხელშეკრულებით ვადის გასვლისთანავე.
ზ) დროულად გადაიხადოს მიწაზე დადგენილი გადასახადი;

მუხლი 18. მიწის მეპატრონის უფლებების დაცვა

მიწის მეპატრონის უფლებებს იცავს კანონი. მიწის მეპატრონის სამეურნეო საქმიანობაში ვერ ჩაერევა გარეშე პირი, სახელმწიფო, სამეურნეო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონის მიზეზით არსებითად ილახება ქალაქის ან სოფლის განაშენიანების გეგმა ან სახელმწიფო ინტერესები, ქალაქის, დაბის ან სოფლის მმართველობას შეუძლია გამოიტანოს ნაკვეთის ჩამორთმევის გადაწყვეტილება, მიწის მესაკუთრე (მფლობელი) ან მოსარგებლე იღებს სანაცვლო მიწას და სრულად აუნაზღაურდება როგორც ნაგებობებზე, ისე მიწაზე გაწეული შრომისა და მატერიალური ხარჯები.

მუხლი 19. საკომლო (გლეხური) მეურნეობის დამოუკიდებლობა

საკომლო მეურნეობა ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეულია. გლეხი (კომლი) თავისი შეხედულებისამებრ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და ერთპიროვნულად განკარგავს მოწეულ ჭირნახულს.

საკომლო ნაკვეთი გაყოფას არ ექვემდებარება. იგი მთლიანად გადადის მემკვიდრის განკარგულებაში. ხოლო თუ დანარჩენ წევრთაგან რომელიმე გადაწყვეტს გლეხური მეურნეობის შექმნას, მიწას იღებს სოფლის მარაგის ფონდიდან. თანაბარ პირობებში უპირატესობა ეძლევა ადგილზე დარჩენილ მემკვიდრეს.

თავი IV

მიზნობრივი დანიშნულების მიწა

მუხლი 20. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად ითვლება სავარგული რომელიც გამოსადეგია სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგისათვის. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მოიცავს საძოვრებს და სათიბებს, რომლებიც ცხადდება სასოფლო (სათემო) საკუთრებად. ასეთი ფართობების სიუხვის შემთხვევაში შესაძლებელია მათი განაწილება კერძო მესაკუთრეზეც მარაგის ფონდის შენარჩუნებით, რასაც წყვეტს სოფლის თვითმმართველობის ორგანო.

სოფელი ან თემი უფლებამოსილია, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა, გააქირაოს საძოვრები და სათიბები. სოფლის მცხოვრებს სარგებლობაში სათიბ-საძოვრად მიწა ეძლევა სახელმწიფო მარაგიდან, საუწყებო და ტყის ფონდიდან. სათიბით სარგებლობისათვის გადასახადს ადგენენ მხარეები ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 21. დასახლებული ადგილების მიწა

დასახლებული ადგილების მიწად ითვლება სოფლების, დაბებისა და ქალაქების განაშენიანების მიწა.

სოფლის განაშენიანების მიწა მოიცავს საცხოვრებელ, სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების შენობა-ნაგებობებით დაკავებულ და ამ მიზნით გამოსაყენებელ ნაკვეთებს.

ქალაქის (დაბის) განაშენიანების მიწა შედგება საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა შენობებითა და ნაგებობებით გაშენებული და გასაშენებელი ნაკვეთებისაგან.

მიწის ნაკვეთის ოდენობა და აღნიშნული მიზნით მისი გამოყენების პირობები განისაზღვრება დამტკიცებული ნორმებისა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

მუხლი 22. სპეციალური დანიშნულების (მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თავდაცვითი, ბუნებადაცვითი, გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული) მიწა

სპეციალური დანიშნულების მიწად ითვლება მიწის ის ფართობი, რომელიც მმართველობის უმაღლეს ორგანოს მიერ მუდმივ ან დროებით სარგებლობაში აქვთ გამოყოფილი შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, გაერთიანებებსა და კოოპერატივებს მათი ამოცანების განსახორციელებლად.

გზისპირა ზოლების (რკინიგზა, გზატკეცილები) მიწის არადანიშნულებისამებრ დაკავება და მასზე მშენებლობა აკრძალულია. ამ წესის დამრღვევი ისჯება კანონით. საპროექტო ორგანიზაციები და სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც ადგენენ მრეწველობის ობიექტების, სატრანსპორტო გზების, გადამცემი ხაზების, გაზსადენებისა და სხვა სამშენებლო პროექტებს, ვალდებული არიან, მიწის დაზოგვის მიზნით, შეუთანხმონ ისინი ადგილობრივ თვითმმართველობას.

ბუნებადაცვითი დანიშნულების მიწას განეკუთვნება: ნაკრძალები, დენდროლოგიური პარკები, ბოტანიკური ბაღები, ბიოსფერული ნაკრძალები, ეროვნული პარკები, პარკები, ეკომუზეუმები და აღკვეთილები.

ბიოსფერულ ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში, აღკვეთილებსა და ეკომუზეუმებში დაშვებულია საკომლო (გლეხური) მეურნეობის მოწყობა მმართველობის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

ნაკრძალების, დენდროლოგიური პარკების, ბოტანიკური ბაღებისა და პარკების ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა და სამეურნეო საქმიანობა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

ბიოსფერული ნაკრძალების, ეროვნული პარკებისა და ეკომუზეუმების მიწა-წყალზე ადგილობრივი თვითმმართველობისა და შესაბამისი სამსახურის ნებართვის გარეშე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა.

მუხლი 23. რეკრეაციული მიწა

გასართობ-რეკრეაციულ-დასასვენებელ ადგილებად მიჩნეულია მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და ტურიზმისთვის განკუთვნილი და გამოსაყენებელი ის ფართობები, სადაც ორგანიზებული წესით ხორციელდება მოსახლეობის მომსახურება.

ამ მიზნით გასართობ-რეკრეაციულ-დასასვენებელი დანიშნულების ზონაში აკრძალულია ნებისმიერი დაწესებულების ან პირის საქმიანობა, რომელიც ხელს უშლის ამ მიწის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას.

გასართობ-დასასვენებელი მიწის გამოყენების წესს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 24. გამაჯანსაღებელი კერების მიწა და სანიტარული დაცვის ზონები

გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიწის გამოყენების წესს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა.

გამაჯანსაღებელი დანიშნულების კერებს განეკუთვნება ისეთი ადგილები, რომლებიც გამოირჩევა უნიკალური ჰავით, სამკურნალო წყლებით, განსაკუთრებული ბუნებრივი გარემოთი, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და აღდგენას.

გამაჯანსაღებელი დანიშნულების კერები კანონით ცხადდება ეროვნულ საკუთრებად და სიმდიდრედ, ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას და კატეგორიულად იკრძალება მისი მფლობელობის წესით მიცემა უცხოელებისთვის, უწყებებისთვის, საწარმოებისა და კერძო პირებისთვის. ასეთი მიწის მფლობელობის წესით გაცემის დრომდე მიღებული ყველა აქტი უკანონო და ბათილია.

ბუნებრივი სამკურნალო თვისებების შენარჩუნების მიზნით საქართველოს კურორტებზე ადგენენ სანიტარული დაცვის ზონებს, რომელთა ფარგლებში აკრძალულია მიწის ნაკვეთის გაცემა იმ დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების მფლობელობაში (ან იჯარით), რომელთა საქმიანობა შეუთავსებელია სამკურნალოდ ვარგის გარემოსთან.

მუხლი 25. თავდაცვითი დანიშნულების მიწა

თავდაცვითი დანიშნულებისაა ის მიწა, რომელიც უვადო ან დროებითი სარგებლობისთვის გამოეყოთ შეიარაღებული ძალების დაწესებულებებს, სამხედრო შენაერთებს, სამხედრო სასწავლებლებს, აგრეთვე, საქართველოს მიწის მთელი სასაზღვრო ზოლი.

ნებისმიერი სამხედრო შენაერთი, თუ ამას მოითხოვს საქართველოს ეროვნული ინტერესები და არსებობს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, ვალდებულია დატოვოს დაკავებული ტერიტორია. სამხედრო ნაწილის გადაადგილების მთელი ხარჯები უნდა დაიფაროს სამხედრო ბიუჯეტიდან.

მიწის ნაკვეთის მიღებით დაინტერესებული სამშენებლო ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მათ შორის სამხედრო უწყება, ვალდებული არიან წინასწარ შეუთანხმონ მიწათმფლობელს, მიწათმოსარგებლეს და ადგილობრივ თვითმმართველობას ობიექტის განლაგების ადგილის, ზომების, მიწის გამოყოფის პირობებისა და გარემოს დაცვის გარანტიების თაობაზე. აკრძალულია საპროექტო სამუშაოთა დაფინანსება წინასწარ შეთანხმებამდე. თუ სამხედრო ნაწილები ან შენაერთები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით საფრთხეს უქმნიან ბუნებრივ გარემოს, მიმდებარე დასახლებულ პუნქტებს და სავარგულებს, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ზიანს აყენებენ მათ, სამხედრო უწყება ვალდებულია დაშორდეს ასეთ ობიექტებს უსაფრთხო მანძილზე და აუნაზღაუროს სათანადო სამსახურებს ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისათვის მიყენებული ზარალი.

მუხლი 26. საეკლესიო-სამონასტრო მიწა

საეკლესიო-სამონასტრო მიწას განეკუთვნება ეკლესიების, მონასტრების, სასულიერო სასწავლებლების, ხატსალოცავების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ექვემდებარება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს ან სათემო მმართველობას. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება გაერთიანდეს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად გამოყოფილი და შეწირული მიწა.

სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის მიწათსარგებლობის უფლება ცალკე კანონით რეგულირდება.

მუხლი 27. ტყის ფონდის მიწა

ტყის ფონდის მიწად ითვლება ბუნებრივი და ხელოვნური ტყით დაფარული, აგრეთვე ტყით დაუფარავი, მაგრამ სატყეო მეურნეობისათვის განკუთვნილი მიწა. იგი იყოფა ორ ნაწილად: სახელმწიფო და ადგილობრივი დანიშნულების ტყეებად.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყის მიწად ითვლება სახელმწიფო-სატყეო ორგანოების გამგებლობაში არსებული ტყეები.

ადგილობრივი მნიშვნელობისაა დასახლებული პუნქტების საზღვრებში არსებული და სხვა ტყეები, რომლებსაც განსაზღვრავს სატყეო კანონმდებლობა.

ადგილობრივი დანიშნულების ტყე განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მერქნით და თანმდევი სარგებლობისათვის, ამასთან იგი ასრულებს ნიადაგის დაცვის, ქარსაფარ, მინდორდაცვით, წყალმარეგულირებელ და სხვა ფუნქციებსაც. ამ ტყეებით სარგებლობის წესს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობა, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 28. წყლის ფონდის მიწა

წყლის ფონდის მიწად მიჩნეულია წყალსატევებით, ტბებით, ჭაობებით, მყინვარებით, წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწა, აგრეთვე ზღვის, ტბების, მდინარეთა სანაპირო და ხელოვნური წყალსატევების სანაპირო გზის ზოლი.

წყლის ფონდის მიწას განკარგავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ამ მიწისა და თვით წყლის მარაგის გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

თევზისა და წყლის ფრინველების მოშენების მიზნით ხელოვნური წყალსატევების შექმნის ნებართვას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობა. სამეურნეო მიზნით შექმნილი ხელოვნური წყალსატევებიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება საერთო წესით.

დაუშვებელია სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი ნაყოფიერი და მაღალხარისხოვანი მიწის დაფარვა ხელოვნური წყალსაცავით. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გამონაკლისი დაიშვება სათანადო ეკოლოგიური გამოკვლევის შემდეგ, შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 29. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მიწა

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მიწას განეკუთვნება: ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლების, ისტორიულ-კულტურული ნაკრძალების, ეკომუზეუმების, მემორიალური პარკებისა და სახლების, მემორიალური ძეგლების, დიორამების, მნიშვნელოვანი ისტორიული ბრძოლების, პანთეონების, ძმათა სასაფლაოს მიწა.

ამ მიწაზე აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება მის მიზნობრივ დანიშნულებას.

ისტორიულ-არქეოლოგიური ეთნოგრაფიული და კულტურის სხვა ძეგლთა მიწას განსაზღვრავენ და შესაბამის ზონებს (წითელ ზონებს) ადგენენ ძეგლთა დაცვის ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა მიერ შემუშავებული დებულებისა და ინსტრუქციების მიხედვით.

ისტორიულ-არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და კულტურის ძეგლთა მიწის და იქ არსებული ძეგლების დაცვისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ძეგლთა დაცვის სახელმწიფო სამსახურს და ადგილობრივ თვითმმართველობას.

მუხლი 30. სამარაგო მიწა

სამარაგო მიწად ითვლება ტერიტორია, რომელიც არ არის გადაცემული საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში. მისი განმკარგავია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა.

სამარაგო მიწას მიეკუთვნება, აგრეთვე, სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი ტერიტორია: კლდეები, ფლატეები, უფსკრულები, მყინვარები, მუდმივი თოვლით დაფარული ფართობები, ნახევრად უდაბნოები, ქვიშრობები და რიყეები.

სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწის ათვისებით მიღებული შემოსავალი არ იბეგრება.

თავი V

მიწის გამოყოფა და განაწილება

მუხლი 31. მიწის გამოყოფა

კერძო, კოლექტიური, საეკლესიო-სამონასტრო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის შერჩევა და გამოყოფა შედის სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებაში. მიწის გამოყოფა ფორმდება მიწათმფლობელისა და მიწათმოსარგებლის შეთანხმებით. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ცალკეულ იურიდიულ პირთათვის მიწის გამოყოფა ხდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით. განსაკუთრებულ შემთხვევებში დიდ ფართობებს გამოყოფს სახელმწიფო.

მუხლი 32. მიწის გამოყოფა-განაწილების პირობები და ნორმები

სოფლების მიხედვით სავარგულების ზუსტი აღრიცხვა ეფუძნება აზომვების შედეგად მიღებულ მონაცემებს და არსებულ დოკუმენტაციას. აქტს მიწების აზომვასა და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს ნახაზები და სამიწათმომწყობო რუკები (პლანშეტები).

ცალკეულ კომლზე საკუთრებაში თუ მფლობელობაში გადასაცემი მიწის ფართობის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენი მიწა აქვს სოფელს. საკომლო (გლეხურ) მეურნეობაზე გადამსვლელთათვის რესპუბლიკაში ერთიანი ნორმები არ არსებობს. მათ ოდენობას ადგენენ ყოველ კონკრეტულ დასახლებულ პუნქტს, მაგრამ ბარში არა უმეტეს 2 ჰექტარისა, მთაბორცვიანში — 3 ჰექტარისა და მაღალმთიან ზონაში — 5 ჰექტარისა.

მუხლი 33. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაცემა საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში ეძლევათ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით:

საკუთრებაში — საქართველოს მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებს — სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის.

მფლობელობაში — საქართველოს მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, საკარმიდამოდ და პირადი დამხმარე მეურნეობისათვის; კოოპერატივებს, ფირმებს, საზოგადოებებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობებს, სამეცნიერო-კვლევით, საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს, პროფესიულ სკოლებს, სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებს.

სარგებლობის წესით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ეძლევა საქართველოს მოქალაქეებს, უცხოელებს — მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 34. სოფლის მიწა

სოფლის მიწას მიეკუთვნება ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მის საზღვრებში და სოფლის თვითმმართველობის გამგებლობაშია.

მუხლი 35. სოფლად გასაცემი მიწის სახეები

სოფლად გასაცემი მიწის სახეებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები;
ბ) სოფლის განაშენიანების მიწა;
გ) საცდელი ნაკვეთები, სასწავლო მეურნეობების მიწა;
დ) საგზაო და ქარსაცავი ზოლები, სარწყავი სისტემებით დაკავებული მიწა;
ე) ტყე, ჭაობი, მდინარეები, წყალსატევები, გუბურები და მათი ნაპირები;
ვ) საერთო სარგებლობისა და სამარაგო მიწა.

მუხლი 36. ქალაქის (დაბის) მიწა

ქალაქის (დაბის) მიწას მიეკუთვნება ქალაქის (დაბის) დამტკიცებულ საზღვრებში არსებული ნაკვეთები, რომლებიც ქალაქის (დაბის) თვითმმართველობის განკარგულებაშია.

ქალაქის (დაბის) საზღვრებია ქალაქის მიწის გარე საზღვარი, რომელიც ქალაქის (დაბის) მიწას გამოყოფს რესპუბლიკის ტერიტორიის მიწის ფონდისაგან და დადგენილია ქალაქის (დაბის) განვითარების ინტერესების შესაბამისად.

რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის (დაბის) საზღვრებს ადგენენ მინისტრთა კაბინეტის სათანადო სამსახურები და ამტკიცებს პარლამენტი.

მუხლი 37. ქალაქად (დაბაში) გასაცემი მიწის სახეები

ქალაქად (დაბაში) გასაცემი მიწის სახეებია:

ა) ქალაქის (დაბის) განაშენიანების მიწა;
ბ) საერთო სარგებლობის მიწა;
გ) ქალაქის პარკებით, ტყის ნაკვეთებით და მწვანე ნარგავებით დაკავებული მიწა;
დ) გზების, რკინიგზის, წყლის, საჰაერო, მილსადენი ტრანსპორტის და სხვა მიწა;
ე) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ეს მიწები (გარდა პარკებით, ტყეებით, მწვანე ნარგავებითა და სასოფლო-სამეურნეო ნარგავებით დაკავებული მიწისა) ეძლევათ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, სამრეწველო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობა-ნაგებობათა ასაშენებლად და საექსპლოატაციოდ, აგრეთვე მოქალაქეებს — ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

მუხლი 38. ქალაქში (დაბაში) მიწის ნაკვეთის გამოყოფა

ქალაქში მიწის ნაკვეთი უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის გაიცემა ქალაქის გამგებლობაში არსებული მიწიდან ქალაქის მერიისა ან საქალაქო (სადაბო) თვითმმართველობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამსახურთან შეთანხმებით.

მუხლი 39. საგარეუბნო და მწვანე ზონის მიწის გამოყოფა

საგარეუბნო და მწვანე ზონის მიწას იყენებენ ამ ზონის დაგეგმარების დამტკიცებული პროექტის მიხედვით. ამ მიწაზე დაუშვებელია იმ შენობა-ნაგებობათა აშენება, რომლებიც არ შეესაბამება მწვანე ზონის დაცვის, სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციებს და მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციას.

საგარეუბნო და მწვანე ზონის გამოყოფის, აგრეთვე, ამ ზონებში მიწათსარგებლობის წესს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 40. საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა

სოფელში მუდმივად მცხოვრებ პირთათვის საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა ხდება მათი განცხადების საფუძველზე სოფლის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით.

ქალაქისა და დაბის მცხოვრებლებს, რომლებსაც სურთ სოფლად მიიღონ საკარმიდამო, აკმაყოფილებს სოფლის თვითმმართველობა.

საკარმიდამო ნაკვეთზე მესაკუთრის უფლებას ინარჩუნებს მკვიდრი კომლი. აკრძალულია კომლზე ორი საკარმიდამო ნაკვეთის გაცემა. გამონაკლის შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების საკითხს განიხილავს და წყვეტს ადგილობრივი სოფლის თვითმმართველობა.

მოქალაქეები, რომლებიც ქალაქიდან მუდმივ საცხოვრებლად ბრუნდებიან სოფლად, მიეცემათ საკარმიდამო (სოფლად მოქმედი ნორმების მიხედვით). ეროვნული ბანკი ვალდებულია გამოუყოს ახალმოსახლეს შეღავათიანი გრძელვადიანი სესხი.

თუ განაყოფი კომლისთვის სოფელში საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა შეუძლებელია, მაშინ მას საკარმიდამო მიეცემა სხვა სოფლის სამარაგო მიწიდან შესაძლებლობის ფარგლებში.

საზღვარგარეთიდან საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნებულ ქართველ მოქალაქეებს მიწა გამოეყოფათ პირველ რიგში და მიეცემათ შეღავათები.

საცხოვრებელ ნაგებობათა შეძენასთან და მათზე საკუთრების მოპოვებასთან ერთად ამ ნაგებობათა მეპატრონის საკუთრებაში გადადის საკარმიდამოც არა უმეტეს 0,06 ჰექტარისა.

საცხოვრებელი სახლის ან მისი ნაწილის მემკვიდრეებისთვის ჩუქების ან ანდერძის გზით გადაცემის შემთხვევაში სასოფლო თვითმმართველობა უფლებამოსილია გამოუყოს მოქალაქეს საკარმიდამო ნაკვეთი, თუ ასეთი სახლს არ აქვს.

მუხლი 41. სპეციალური დანიშნულების მიწის გამოყოფა

სპეციალური (მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის) დანიშნულებებისათვის გამოსაყოფი მიწის ფართობის ოდენობა განისაზღვრება დადგენილი ნორმებისა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე. მიწის გამოყოფას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ბუნების დამცავ, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამსახურთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

ბუნებადაცვითი დანიშნულების მიწის გამოყოფა ხდება მეცნიერებათა აკადემიის, ბუნებადაცვითი ორგანოების წინადადებით, მიწის მეპატრონესთან შეთანხმებით და ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილებით.

გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული დანიშნულების მიწის გამოყოფა ხდება არსებული ნორმებისა და განაშენიანების გათვალისწინებით, მიწის მეპატრონესთან და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით.

თავდაცვითი დანიშნულების მიწის გამოყოფა ხდება თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივ მმართველობასთან შეთანხმებით.

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადებულია საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიისა და ფრაქცია „ალორძინების" მიერ.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონი

(დასასრული).

მუხლი 42. ეკლესია-მონასტრებისთვის მიწის გამოყოფა
საეკლესიო-სამონასტრო მიწის გაცემა ხდება მართლმადიდებლური ეკლესიის მოთხოვნით და ადგილობრივ მმართველობასთან შეთანხმებით, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით.

სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის მიწის გამოყოფის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონმდებლობით.

მუხლი 43. ტყის ფონდის მიწის გამოყოფა
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის გამოყოფა ხდება სახელმწიფო სატყეო სამსახურების სპეციალური ნებართვით.

ადგილობრივი ტყეების მიწის გაცემა ხდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

ტყის ფონდში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სათიბ-საძოვრები) ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება გასცეს მოსახლეობაზე დროებითი სარგებლობის წესით, ტყის მეპატრონესთან შეთანხმებით.

მუხლი 44. წყლის ფონდის მიწის გამოყოფა
წყლის ფონდის მიწის გამოყოფა ხდება სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, რასაც ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 45. სამარაგო მიწის გამოყოფა
სახელმწიფო მარაგის მიწიდან ნაკვეთის გამოყოფა ხდება დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

დასახლებული ადგილის სამარაგო მიწიდან ნაკვეთის გამოყოფა ხდება დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

სოფლის სამარაგო მიწის ამოწურვის შემთხვევაში მიწა შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო მარაგის მიწიდან სათანადო მოთხოვნის საფუძველზე, რასაც განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით.

სოფლის სამარაგო მიწის გადანაწილება ხდება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ნებართვით სოფლის თვითმმართველობასთან შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 46. მიწის განაწილების წესი მაღალმთიანი ზონის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემებში
საქართველოს მაღალმთიანი ისტორიული თემების (ხევების) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს (სათიბები, საძოვრები, მრავალწლიანი ნარგავები, სახნავები, ტყეები) განკარგავს სოფლის თემის თვითმმართველობა. საძოვრების, სათიბების და სახნავი მიწის გადანაწილება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით.

თავი VI
მიწის გამოყოფის შეზღუდვა და აკრძალვა

მუხლი 47. მიწის გამოყოფის შეზღუდვა
მიწის გამოყოფა შეზღუდულია:

სახელმწიფო ტყეებში, საგარეუბნო მწვანე ზონებში, ბიოსფერულ ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში (გარდა პირველი ზონისა), ეკომუზეუმებში, რეკრეაციულ ზონებსა და საკურორტო ტყეებში (გარდა პირველი ზონისა), უნიკალურ ბუნებრივ გარემოში, ცალკეულ იშვიათ კორომებში.

მუხლი 48. მიწის გამოყოფის აკრძალვა
მიწის გამოყოფა აკრძალულია:

ნაკრძალებში, დენდროლოგიურ პარკებში, ბოტანიკურ ბაღებში, ბიოსფერული ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების პირველ (სანაკრძალო) ზონაში, ბალ-პარკებში, ისტორიისა და კულტურის ძეგლების კუთვნილ ფართობებზე, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების, აგრეთვე სასელექციო და საცდელი სადგურების ნაკვეთებზე, სანერგეებში, საჯიშე და საექსპერიმენტო მეურნეობებში, იშვიათ რელიქტურ ტყეებში, კურორტის ახლო ზონის ტყეებში.

თავი VII
მიწის გადასახადი და მიწის საიჯარო ქირა

მუხლი 49. მიწის გადასახადი
მიწის გადასახადის დაწესების მიზანია სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება, სპეციალური ფონდების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს დასახლებულ პუნქტებში ინფრასტრუქტურების განვითარებას, მიწის დაცვას და რაციონალურ გამოყენებას.

მიწის გადასახადი განისაზღვრება ნაკვეთის მდებარეობის, ხარისხის, დანარწყვების და სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის მიხედვით.

მიწის გადასახადით იბეგრება საქართველოს მიწის ფონდის ყველა კატეგორია, გარდა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მიწისა.

გადასახადის ოდენობას ადგენს სახელმწიფო ორგანო ქალაქების, სოფლების, თემების თვითმმართველობასთან შეთანხმებით და კადასტრის გათვალისწინებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიური ფიქსირებული გადასახადის სახით მიწის ერთ ჰექტარ ფართობზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შეიძლება შეიცვალოს გათვალისწინებული მოთხოვნების შეცვლასთან დაკავშირებით კადასტრის შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის ნაწილი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით სოფლის თვითმმართველობის ბიუჯეტში ჩაირიცხება და სოფლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას მოხმარდება.

სამარაგო მიწის გაქირავებით მიღებული საიჯარო გადასახადი, კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადის გამოკლებით, რჩება სოფლის თვითმმართველობას.

მუხლი 50. მიწის დაბეგვრისას შეღავათები
მიწის დაბეგვრისას შეღავათები ვრცელდება:

ეროვნულ პარკებზე, ნაკრძალებზე, აღკვეთილებზე, ბოტანიკურ ბაღებზე, დენდროპარკებზე, დაწესებულებებსა და კერძო პირებზე, რომლებმაც მფლობელობითა და სარგებლობით აიღეს ეროზირებული და ნაკლებშემოსავლიანი მიწა და აღადგინეს იგი საკუთარი სახსრებით.

მუხლი 51. გადასახადისაგან დროებით განთავისუფლება
გადასახადისაგან დროებით შეიძლება განთავისუფლდეს ცალკეული ეთნოგრაფიული რეგიონი მაღალმთიან ზონაში, სადაც დემოგრაფიული კრიზისისა და მძიმე ბუნებრივი პირობების გამო შემოსავალი მეტად მცირეა.

ცალკეულ შემთხვევებში მიწის გადახდისაგან შეიძლება დროებით გათავისუფლდნენ მოქალაქეები, რომლებსაც თვალსაჩინო დამსახურება აქვთ ეროვნული ეკონომიკის თუ კულტურის დაწინაურებაში, ქვეყნის პოლიტიკურ გაძლიერებაში.

მიწის გადასახადისაგან დროებით განთავისუფლებას ან შემცირებას (მოუსავლიან წლებში ან სტიქიური უბედურების გამო) და ვადებს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი აცხადებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარდგინებით.

თავი VIII
მიწის კადასტრი და მიწათმოწყობა

მუხლი 52. მიწის კადასტრი და მისი დანიშნულება
მიწის კადასტრი არის სახელმწიფო კომპლექსური ღონისძიება მიწის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, რომელიც მოიცავს მიწების რაოდენობრივი, ხარისხობრივი, ნიადაგის ბონიტირების და მიწის ეკონომიკური შეფასების მთელ სისტემას.

მიწის კადასტრის დანიშნულებაა:

ა) უზრუნველყოს სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობა, მიწის შეფასების მაჩვენებლებით;

ბ) საკადასტრო მონაცემებზე დაყრდნობით განახორციელოს მიწის სწორად გამოყენების, მისი დაცვის, საადგილმამულო ურთიერთობების რეგულირების, მიწაზე საგადასახადო და სამეურნეო საქმიანობის შეფასებათა სისტემის (მონიტორინგი) მოწესრიგება.

გ) მიწის სახელმწიფო კადასტრს ერთიანი სისტემით აწარმოებს სამიწათმომწყობო სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე;

დ) მიწის კადასტრის მონაცემების თვითნებური შეცვლა კანონით აკრძალულია. მის მონაცემებს ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ აზუსტებს და განაახლებს შესაბამისი სამსახურები.

მუხლი 53. მიწის ნაკვეთების გამიჯვნა
სახელმწიფო მეურნეობისათვის, სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, თემებისა და სოფლებისათვის, აგრეთვე, ცალკეული გლეხური მეურნეობისათვის მიწა იმიჯნება მოქმედი კანონმდებლობის და ტრადიციების მიხედვით (საზღვარი, სამანი, მიჯნა, გორა, კვალი და ნახშირი). საზღვართან დაკავშირებული სადავო საკითხები წესრიგდება კანონმდებლობითა და ჩვეულებითი სამართლის ნორმებით.

მუხლი 54. მიწის გამოყოფის გაფორმება
საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში მიწის გაცემა მტკიცდება სათანადო სიგელით და ხელშეკრულებით. მისი გაცემის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 55. მიწათმოწყობა და მისი ამოცანები
მიწათმოწყობა მოიცავს ღონისძიებათა სისტემას, რომლის მიზანია სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელება მიწით სარგებლობის დარგში.

მიწათმოწყობის სამსახურს ევალება:

ა) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, (ცალკეული სოფლების, თემების), სასოფლო უბნების საზღვრების დაფიქსირება;

ბ) მიწათსარგებლობის სივრცობრივი მოწესრიგება, მიწის ხარვეზიანობის აღმოფხვრა, მიწის საკუთრების, მფლობელობის და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შედგენა-მომზადება;

გ) შინასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტების შემუშავება;

დ) მიწის დაცვის პროგნოზირება და მიწის გამოყენების რეგიონალური სქემების შემუშავება;

ე) განსაკუთრებული რეჟიმის ტერიტორიების გამოყოფა და მათი საზღვრების დადგენა;

ვ) მიწის მესაკუთრის, მფლობელისა და მოსარგებლისათვის ნაკვეთების გამიჯვნა;

ზ) საავტორო ზედამხედველობა მიწათმოწყობის პროექტების განხორციელებაზე;

თ) ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული, ნიადაგის, გეობოტანიკური და სხვა გამოკვლევების სამუშაოების მოწყობა.

მუხლი 56. მიწათმოწყობის ორგანიზაცია
მიწათმოწყობას ახორციელებენ სახელმწიფო სამიწათმომწყობო ორგანიზაციები ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

მიწის მეპატრონეს უფლება აქვს მიწათმოწყობის პროექტი შეუკვეთოს კერძო ორგანიზაციას.

თავი IX
მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი

მუხლი 57. მიწის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი
მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს მიწის მეპატრონის მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნობრივი გამოყენება, ნიადაგების დაცვა-გაუმჯობესება და კანონის ფარგლებში მეურნეობრიობის მოწყობა.

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიწის გამოყენებასა და დაცვას კონტროლს უწევენ საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, თვითმმართველობის ორგანოები, შესაბამისი უწყებები და სამინისტროები.

მუხლი 58. მიწის დაცვა
მიწის დაცვა მოიცავს სამეურნეო, სამართლებრივ, ორგანიზაციულ, სამეცნიერო და სხვა ღონისძიებათა სისტემას, რომლის მიზანია ნიადაგის თვისებების შენარჩუნება, მისი რაციონალური გამოყენება, სხვადასხვა მავნე ზემოქმედებისაგან მისი დაცვა, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან მიწის უსაფუძვლოდ ამოღების თავიდან აცილება, ნიადაგების რეკულტივაცია, ეროზიის შეჩერება, ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-შენარჩუნება, სათიბ-საძოვრებისა და ტყის მიწის ნაყოფიერების ზრდა.

მუხლი 59. ნიადაგის დაცვისა და მოვლა-პატრონობის წესი
ნიადაგის, როგორც რთული ბუნებრივ-ისტორიული სხეულის, დაცვა ხორციელდება კომპლექსურად. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკეული რეგიონის ლანდშაფტური თავისებურებანი, ნიადაგების ტიპი და კადასტრი, ნიადაგის დაცვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოცდილება.

ნიადაგის დამუშავებას წინ უნდა უძღოდეს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისთვის შესაფერისი მიწათმოქმედების სისტემის შერჩევა. აკრძალულია მიწების უსაფუძვლო გამოთიშვა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. როცა სავარგულზე კერძო პირი ან სახელმწიფო დაწესებულება სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს, განუხრელად უნდა დაიცვას ნიადაგის ჰუმუსიანი ფენის რეკულტივაციის წესი.

მუხლი 60. მატერიალური პასუხისმგებლობა მიწის დაცვისთვის წესების დარღვევისათვის
ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია შეასრულოს მიწის აღდგენისა და დაცვის სათანადოდ დადგენილი წესები. მშენებლობებზე, სადაც ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ნიადაგის ზედა ფენა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნიადაგის სრული აღდგენისა და დაცვის ხარჯები.

თუ მშენებლობის პროექტში ასეთი ხარჯები გათვალისწინებული არ არის, მიწის მეპატრონე უფლებამოსილია არ დაუშვას სამშენებლო სამუშაოების დაწყება. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ხარჯი გათვალისწინებულია და მშენებელი ორგანიზაცია არ ასრულებს ნიადაგის აღდგენით და დაცვით სამუშაოებს, მშენებლობის დამკვეთი და შემსრულებელი ორგანიზაციები მატერიალურად აგებენ პასუხს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და ფარგლებში.

ორგანიზაციები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოებენ მშენებლობას, ძველ შენობათა რეკონსტრუქციას, სარემონტო სამუშაოებს ან გაჰყავთ მიწისქვეშა კომუნიკაციები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა, ვალდებული არიან სრულად აუნაზღაურონ მიყენებული ზარალი მიწის მეპატრონეს.

ზარალის ოდენობას განსაზღვრავს საგანგებო კომისია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით ხელმძღვანელობს.

დავის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო ან არბიტრაჟი.

მუხლი 61. დახმარება და წახალისება მიწის რაციონალური გამოყენებისათვის.
მიწის რაციონალური გამოყენების, მის დასაცავად და აღსადგენად გაწეული შრომისთვის სახელმწიფო ეკონომიკურად ეხმარება და ახალისებს მიწის მეპატრონეთ.

თუ მიწის მეპატრონე მეურნეობრივ საქმიანობას ეწევა ახლად ათვისებულ მიწაზე ან რთულ გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ გარემოში, ეროვნული ბანკიდან ეძლევა შეღავათიანი სესხი ან დახმარება.

მიწის მეპატრონეს, რომელიც განიზრახავს დაზიანებული მიწის აღდგენა-გამოყენებას ან რომლის მიწაც დაზიანდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით (მეწყერი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა), ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყოფა სათანადო სახსრები, რომლებიც საჭიროა მიწის აღსადგენად.

თავი X
საქართველოს ეროვნული ბანკი და საადგილმამულო ურთიერთობა

ეროვნული ბანკი მოწოდებულია შეღავათიანი კრედიტებით ხელი შეუწყოს საქართველოში საკომლო მეურნეობის და მეურნეობრიობის განვითარებას, ინფრასტრუქტურების შექმნით ეკონომიკური კრიზისის დაძლევას და სოფლად სოციალურ-კულტურული პროგრესის განხორციელებას.

მუხლი 62. სოფლის მეურნეებისათვის შეღავათიანი კრედიტისა და დახმარების გაცემა
საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია:

ა) გამოუყოს შეღავათიანი და გრძელვადიანი სესხი, მათ შორის უპროცენტო, მეკომურ მეურნეს, კოოპერატივებს, მიწის ყველა მეპატრონეს, რომლებსაც განზრახული აქვთ სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება;

ბ) დაეხმაროს იმ მეურნეობებს, რომლებიც დაზარალდნენ სტიქიური უბედურების შედეგად ან მოუსავლიანობის დროს.

შეღავათიანი კრედიტი გაიცემა თვითმმართველობის წარდგინებით და სამეცნიერო-საკონსულტაციო სამსახურის რეკომენდაციით.

მუხლი 63. ინვესტიციები
ეროვნული ბანკის მიერ ინვესტიციები გაიცემა:

ა) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად;

ბ) ყამირი და გაუტეხავი მიწის ასათვისებლად;

გ) ძნელად ასათვისებელი ჯაგნარის საკულტივაციოდ;

დ) დაზიანებული ადგილების სარეკულტივაციოდ;

ე) მდინარეთა სანაპირო ზოლის გასამაგრებლად;

ვ) ნასოფლარების აღსადგენად;

ზ) სოფლად მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნებულ მეურნეთათვის;

თ) განსაკუთრებული მნიშვნელობის საირიგაციო სამუშაოებისათვის;

ი) ინვესტიცია გაიცემა ადგილობრივი მმართველობის შუამდგომლობით.

მუხლი 64. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობანი საადგილმამულო ურთიერთობაში
ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობანია:

ა) აგრარული სექტორის მეშვეობით აღრიცხოს უძრავ-მოძრავი ქონება;

ბ) მიწის გასხვისების მორატორიუმის დამთავრების შემდეგ აღრიცხოს და დაარეგულიროს მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები;

გ) მიიღოს ზომები კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ;

დ) არ დაუშვას მამულის უკანონო გასხვისება, მიწის დაგირავება და სამართალსაწინააღმდეგო მოქმედება;

ე) ეროვნული ბანკის მუშაობას აკონტროლებენ მინისტრთა კაბინეტი და საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისია.

თავი XI
მიწათსაკუთრების და მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტა

მუხლი 65. მიწათსაკუთრების შეწყვეტა
მიწათსაკუთრება წყდება:

ა) ნაკვეთის დამეწყვრა-წალეკვის შემთხვევაში;

ბ) თუ გარდაიცვალა მესაკუთრე, რომელსაც არ დარჩენია მემკვიდრე და არა აქვს განკარგული თავისი ნაკვეთი ვისმეზე;

გ) თუ მეპატრონე უარს ამბობს მიწის საკუთრების უფლებაზე;

დ) თუ საკუთრების შეწყვეტა მოხდა იძულებით ან კონფისკაციის წესით აკრძალული კულტურების სისტემატურად მოყვანის გამო;

მუხლი 66. მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტა
მიწათსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება შეწყდეს:

ა) თუ გავიდა გამოყოფილი მიწის ნაკვეთით სარგებლობის ვადა;

ბ) გაქრა მიწის ნაკვეთით სარგებლობის საჭიროება;

გ) ეკოლოგიური მდგომარეობის გამო აუცილებელია საწარმოს გადატანა სხვაგან;

დ) მოხდა საწარმო-დაწესებულებების ან ორგანიზაციების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, რის გამოც მცირდება საჭირო მიწის ნაკვეთი;

ე) თუ მიწის ნაკვეთი გამოიყენება უყაირათოდ და არა იმ მიზნით, რისთვისაც იყო გაცემული;

ვ) შეიქმნა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის აუცილებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

თავი XII
პასუხისმგებლობა საადგილმამულო კანონმდებლობის დარღვევისათვის და საადგილმამულო დავის გადაწყვეტა

მუხლი 67. საადგილმამულო კანონმდებლობის დარღვევა
საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონმდებლობის დარღვევად ჩაითვლება:

ა) მიწის უკანონო გასხვისება და თვითნებური დაკავება;

ბ) მიწის არადანიშნულებისამებრ გამოყენება და აკრძალული კულტურების მოყვანა;

გ) მიწის არასაპატიო მიზეზით მოცდენა (ზედიზედ 2 წლის განმავლობაში) და არარაციონალური გამოყენება, რაც იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების მკვეთრ დაქვეითებას, ეროზიას, დაჭაობებას, ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების გაუარესებას;

დ) შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების ჭარბი გამოყენებით ნიადაგის გაჭუჭყიანება და არაეკოლოგიური პროდუქტების წარმოება;

ე) სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების, წყლის, ჰაერის გაჭუჭყიანება ქიმიური და რადიაქტიური ნივთიერებებით;

ვ) საწარმოო ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით სავარგულების და წყლის გაჭუჭყიანება;

ზ) მშენებლობა, რომელიც არ არის შეთანხმებული სოფლის თვითმმართველობასთან და მოსარგებლესთან;

თ) ახალმშენებლობები, რომელთა საპროექტო მონაცემებში არ არის გათვალისწინებული ნიადაგის სრული აღდგენის ხარჯები ან არ სრულდება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული პირობა;

ი) სამშენებლო ორგანიზაციებისაგან იმ თანხის გადაუხდელობა, რომელიც შემოსავლის სახით უნდა მიიღო მიწათმფლობელს ან მიწათმოსარგებლეს მშენებლობის დროს დროებით დაკავებული ნაკვეთიდან;

კ) მიწის ნაკვეთების საზღვრების მოშლა და გადაადგილება;

ლ) სამხედრო საწვრთნელი მოქმედებებით დასახლებული პუნქტების სავარგულების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების კუთვნილი მიწების დაზიანება;

მ) მიწის სახელმწიფო რეგისტრაციის, აღრიცხვისა და შეფასების მონაცემების დამახინჯება;

ნ) მიწის გადასახადის გადაუხდელობა და დაგვიანება.

ო) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 68. პასუხისმგებლობა საადგილმამულო კანონმდებლობის დარღვევისათვის
საადგილმამულო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დამრღვევთ ეკისრებათ ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი პატრონს უბრუნდება იმ ხარჯების აუნაზღაურებლად, რომლებიც მიწით უკანონო სარგებლობის დროს იყო გაწეული.

საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები ვალდებული არიან აანაზღაურონ მიწის კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზარალი.

მუხლი 69. საადგილმამულო დავის გადაწყვეტა
საადგილმამულო დავას განიხილავს და წყვეტს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოდავე მხარეთაგან პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი კომისია. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში ან არბიტრაჟში.

თუ მეზობელ სოფლებს შორის ისტორიული საზღვრები ვერ დადგინდა, ამის თაობაზე დავას წყვეტს მოდავე სოფლების კომისიების წარმომადგენლებისაგან შექმნილი შერეული კომისია, რომელშიც შედიან რაიონის მიწათმომწყობი და სამეცნიერო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტები. მორიგების შემთხვევაში შერეულ კომისიის წევრთა ხელრთვით დგება წერილობითი და გრაფიკული დოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს რესპუბლიკის პარლამენტი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.

საადგილმამულო დავას, რომელიც წამოიჭრება, ერთი მხრივ, ეკლესია-მონასტრებს და, მეორე მხრივ, საერო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, განიხილავს სასამართლო, ხოლო ეკლესია-მონასტრებს შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტა ექვემდებარება სასულიერო სასამართლოს იურისდიქციას.

სამხედრო უწყებასთან წამოჭრილ დავას განიხილავს აღნიშნული უწყებისა და დაზარალებული მხარის შერეული კომისია. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს საქართველოს უზენაესი სასამართლო სამხედრო პროკურორის მონაწილეობით.

თავი XIII
მიწათსაკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის რეჟიმი საგანგებო მდგომარეობის დროს

მუხლი 70. მიწათსაკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის გარანტიების დროებით შეჩერება
სახელმწიფოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს (ომი, სტიქიური უბედურება, ეპიდემიები), მიწის საკუთრების, მფლობელობისა და სარგებლობის გარანტიები დროებით ჩერდება.

მუხლი 71. მიწაზე სახელმწიფოს უფლებამოსილება საგანგებო პირობებში
საქართველოს პარლამენტი საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს მიწის მიზნობრივი დანიშნულება და საჭიროებისამებრ გამოიყენოს ნებისმიერი მიწის ნაკვეთი. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ სახელმწიფო ვალდებულია აუნაზღაუროს მიწის მესაკუთრეს, მიწათმფლობელს ან მიწათმოსარგებლეს მიყენებული ზარალი, და თუ მიწის რომელიმე ნაკვეთის დაბრუნება ვერ ხერხდება, მესაკუთრეს, მიწათმფლობელს ან მიწათმოსარგებლეს მისცეს სხვა ტოლფასოვანი ნაკვეთი.

თავი XIV
საერთაშორისო ურთიერთობები

მუხლი 72. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს, მეკომურებს და მოიჯარეებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით, უფლება ეძლევათ საზღვარგარეთის ფირმებთან და საწარმოებთან, აგრეთვე კერძო პირებთან ერთად შექმნან ერთობლივი საწარმოები, გაერთიანებები, საფირმო კავშირები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები. ასეთ ერთობლივ საწარმოებს მიწა გამოეყოფა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს საქართველოში შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ მიწათმოსარგებლის სტატუსი. მიწათსარგებლობის ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

მუხლი 73. პასუხისმგებლობა უცხოელებთან დადებული ხელშეკრულების დარღვევისათვის
საქართველოს მოქალაქეების და სხვადასხვა ორგანიზაციის მხრივ უცხოელებთან მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებისთვის სახელმწიფო მატერიალურად პასუხს არ აგებს. ხელშეკრულებით განისაზღვრება უფლება-მოსილება მხარეებს შორის. პასუხისმგებლობა მხარეთა მიერ მოვალეობის შეუსრულების ან არასათანადო შესრულებისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით.

თანადგომა

წერილი ბრიუსელიდან

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მიიღო ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტის წერილი, რომელშიც ასახულია ამ მძლავრი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის დამოკიდებულება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისადმი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ჭანტურიას

მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი წერილი და მას თანდართული მასალები, რომლებიც ასახავდა აფხაზეთში მიმდინარე ტრაგიკულ პროცესებს, მივიღეთ აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ანალოგიური შინაარსის წერილიც, რომელიც თქვენს მხარდაჭერას მოითხოვს.

კიდევ ერთხელ მსურს დაგარწმუნოთ თქვენდამი ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის სოლიდარობაში და გაცნობოთ, რომ მე გავუგზავნე წერილი რუსეთის ელჩს ბელგიაში ბატონ აფანასიევს, რომლის ასლსაც თქვენ გიგზავნით.

გულწრფელი პატივისცემით,

ანრი ლუი
ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტი.

რუსეთის ელჩს ბელგიაში
ბატონ ნ. აფანასიევს

ბატონო ელჩო,

ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალი შეშფოთებით ადევნებს თვალს აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლების განვითარებას, რომელშიც, როგორც უკვე დადგენილია, უშუალოდ მონაწილეობენ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ჩვენ, კერძოდ, გამოვთქვამთ შეშფოთებას სოხუმის ამასწინანდელი საჰაერო დაბომბვის გამო, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

ჩვენ ვიქნებოდით მადლობელნი, თუ თქვენ რუსეთის მთავრობას აცნობებდით ჩვენი შეშფოთების შესახებ.

მხარს ვუჭერთ რა აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დეკლარაციას, რომელიც აერთიანებს რუსეთის, ბელორუსიის, საქართველოსა და სომხეთის ქრისტიანულ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, და რომლის ცენტრიც სანქტ-პეტერბურგშია, ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალი თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიიდან ყველა უცხო ქვეყნის ჯარების გაყვანა იქნება ამ კონფლიქტის მშვიდობიანი ხერხებით გადაჭრის გზების ძიების უცილობელი პირობა.

ზემოთქმული შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ პოლიტიკური ხერხებით, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით, აგრეთვე აფხაზი ხალხის პოლიტიკური და კულტურული უფლებების უზრუნველყოფით. აღმოსავლეთ ევროპის ქდკ-სა და ჩვენს ქართველ კოლეგებთან ერთად ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალი აუცილებლობის შემთხვევაში მზად არის კონკრეტული დახმარების გაწევისათვის.

ბატონ ელჩს კეთილგანწყობითა და საუკეთესო სურვილებით,

ანრი ლუი.

სხვა გაზეთებიდან

ლოთი ქობალია მაინც მიდის აფხაზეთში

სამეგრელოში მოქმედი ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმების მეთაურის გადაწყვეტილებას, მიეღო მონაწილეობა აფხაზეთის ომში, საზოგადოება დიდი იმედებით შეხვდა. დაისახა ეროვნული ერთიანობის მიღწევის, აფხაზეთის გაჭიანურებული კონფლიქტის მალე დამთავრების გზები. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის შემდეგ ზუგდიდში მოეწყო მიტინგები, ჭყონდიდელის საზოგადოების კონფერენცია, სადაც ქობალია ყოფილ პრეზიდენტის მომხრეების დაწოლით თუ მუქარით იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ იგი არ იბრძოლებს „შევარდნაძის დროშის ქვეშ".

4 აპრილს, ლოთი ქობალიას შეხვდნენ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონული მართვის ხელმძღვანელი თემურ ფიფია და საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვახტანგ გვარამია. როგორც ბატონმა თემურ ფიფიამ გვითხრა, მათი ჩასვლის ერთ-ერთი მიზეზი იყო გაერკვიათ, თუ რამ გამოიწვია ლოთი ქობალიას გადაწყვეტილების შეცვლა. ქობალიას თქმით, მისი განცხადება გამოიწვია თენგიზ კიტოვანთან მიღწეული შეთანხმებების შეუსრულებლობამ. კერძოდ ფოთის, სენაკის, აბაშის, ხობის რაზმები ოჩამჩირეში მასთან შეუთანხმებლად წავიდნენ. არ მოხდა მისი რაზმების უზრუნველყოფა კომუფლაჟით და პროვიანტით. არ შექმნილა ერთიანი სარდლობა, რომელიც მოქმედების ერთიან გეგმას შეიმუშავებდა.

ქობალიამ გაკვრით აღნიშნა ის ზეწოლაც, რასაც იგი განიცდის ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებისაგან. თუ მოგვარდება ეს საკითხები და ბატონ თენგიზ კიტოვანის ხელახალი ჩასვლა ამის გარანტიას იძლევა, ლოთი ქობალია თავისი რაზმით აპირებს ომში მონაწილეობის მიღებას, რადგან იგი (მისი თქმით), არასოდეს ყოფილა მოღალატე და მისი უპირველესი საფიცარი ერთიანი და მთლიანი საქართველოა.

თემურ ფიფიას თქმით, ლოთი ქობალიას გადაწყვეტილებამ, მიეღო მონაწილეობა აფხაზეთის ომში და დამორჩილებოდა ოფიციალურ სტრუქტურებს, დიდი შეშფოთება გამოიწვია ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებში. საქმე ისაა, რომ ზუგდიდში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში, ყოფილი პრეზიდენტის ამ ფორპოსტებში, ისინი გავლენას ინარჩუნებენ მხოლოდ ამ შეიარაღებული რაზმების წყალობით. როგორც თემურ ფიფიამ აღნიშნა, ეს რაიონები დატოვეს ყველა სოფლად მოაზროვნე და გონიერმა ადამიანებმა, აქ გამეფებულია მორალური და ფიზიკური ტერორი განსხვავებულ მოაზროვნეთა მიმართ. მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ყელში აქვს ამოსული პლებეითა დაუსჯელი პარპაში და ბატონობა. შეიარაღებული რაზმებიდან (რომელთა შორის ერთიანობა არ არის) ზოგიერთი პოლიტიკურ იდეალებს შირმად იყენებს მოსახლეობის გასაძარცვად და წარმოება-დაწესებულებებიდან ხარკის ასაღებად. ბუნებრივია, ლოთი ქობალიას რაზმის გასვლა სამეგრელოდან, რომელიც ყველაზე ორგანიზებული და შედარებით შეუბღალავია აქ მოქმედ რაზმებს შორის, ლახვარს ჩასცემს ოხლოკრატიის ბატონობას, ამიტომაც შეშფოთდნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები და თბილისიდან სასწრაფოდ მოიწვიეს „მძიმე არტილერია" — მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები, რომელთა ხსენებაც მათი ნამოქმედარის გამო არ მსურს. მე ყოველთვის პიროვნულად დიდი პატივისცემით ვეპყრობოდი ბატონ მუხრან მაჭავარიანს მისი შემოქმედების გამო, ამიტომ არ მინდა დავიჯერო, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდეს, რაც ჩაიდინა. სამწუხაროდ, ამას ელიზბარ ჯაველიძეზე ვერ ვიტყვი, მან ყოველთვის კარგად იცის, რას აკეთებს. ჩვენ შეიძლება დღეს მიკერძოებულები ვიყოთ, მაგრამ ისტორიამ უნდა შევუნახოთ ის სიტყვები, რაც მაჭავარიანმა და ჯაველიძემ თქვეს ზუგდიდში კონფერენციაზე.

7. 04. 93 წ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სირიასთან საზავო ხელშეკრულების დადება განსაკუთრებით რეალურია, განაცხადა ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ეჰუდ ბარაკმა, რომ ამ ეტაპზე თვით „სირია მომწიფდა ზავისათვის". ამასთანავე მან აღნიშნა, რომ საეჭვოა სირიამ ოდესმე უარი თქვას მისთვის გოლანის ყველა მაღლობის დაბრუნების მოთხოვნაზე. მისი აზრით, სირიის მხარე იღვწის, რათა დადოს საზავო ხელშეკრულება გოლანის სრული დაბრუნების სანაცვლოდ.

ჩინეთმა განაცხადა, რომ აპირებს აქტიურად გააფართოოს კავშირურთიერთობა მსოფლიო ბანკთან. როგორც გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო" იუწყება, ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მეთაურთან შეხვედრის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი პენმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მსოფლიო ბანკმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ჩინეთს კრედიტების, ტექნოლოგიის მიცემისა და საკონსულტაციო დახმარების სფეროში.

პაკისტანის ხელისუფლებმა ჩაშალეს ოპოზიციის მომხრეთა ცდა გადაეკვეთათ კონტროლის ხაზი, რომელიც ყოფს კაშმირის ხეობის პაკისტანისა და ინდოეთის ნაწილებს, და შეჭრილიყვნენ ინდოეთის ტერიტორიაზე. ისლამაბადიდან მიღებული ცნობების თანახმად, უშიშროების ძალებმა დააპატიმრეს პაკისტანის სახალხო პარტიის მარშის 100-ზე მეტი მონაწილე, რომლებიც იმუქრებოდნენ, რომ იერიშს მიიტანენ პოლიციის კორდონზე კონტროლის ხაზისკენ მიმავალ გზაზე.

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა „კარგი მუშაობა გასწია" ვანკუვერში. ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტმა. რომ ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონთან შეხვედრაზე რუსეთის ხელმძღვანელმა თავი გაართვა ფრიად ძნელ ამოცანას, შეაპირა რა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა.



გელოდებათ ბიზნესკლუბი

საქმიანი შეხვედრები შეიძლება სასიამოვნო გახდეს, თუ ისინი ახალ ბიზნესკლუბში „ნ. ს. პარტნიორში“ გაიმართება, რომელიც წერეთლის პროსპექტზე გაიხსნა.

სტუმრებს ელით ბარი, რომელსაც სასმელებისა და ეროვნული სამზარეულოს კერძების ფართო ასორტიმენტი აქვს. მშვიდი მუსიკა, მომსახურე პერსონალის ყურადღებიანი დამოკიდებულება.

სასიამოვნო სიურპრიზი — ბიზნესკლუბი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს.

სურათებზე: საღამო ბიზნესკლუბში „ნ. ს. „პარტნიორი“.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხსოვნა

თეიმურაზ თევდორაძე

18 მარტს ოცდამეორე გაზაფხულს შეხვდა. ოცდამესამე უკვე უმისოდ ჩაივლის... უშიშროების სამმართველოს ცალკეულ სადესანტო მოიერიშეთა ბატალიონის ოფიცერი სხვა თავისი კბილა ბიჭების მსგავსად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა.

მანამდე კი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა, რომ თეიმურმა „ბანდიტთა ორასკაციანი ჯგუფის თავდასხმისას, დიდი რისკისა და საფრთხის ფასად იხსნა ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში განლაგებული შეიარაღებული ძალების ნაწილის მებრძოლები და მშვიდობიანი მოსახლეობა...“

თეიმურ თევდორაძის ხსოვნას მარად შეინახავენ ნათესავები და მეგობრები.

მსუბუქი იყოს შენთვის, თეიმურ, მშობლიური მიწა!

მეგობრები.

BACCIT
საბროკერო ფირმა
010/1 BACCIT

თუ თქვენ თვლით, რომ დრო — ფულია თქვენ გჭირდებით ჩვენ !

ჩვენი ფირმა გაგიწევთ შუამავლობას ყველა სახის ოპერაციების შესრულებაში, რომლებიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან, ვალუტასთან და ფასიან ქაღალდებთან (აქციები, ობლიგაციები).

ჩვენ ვმუშაობთ ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილ "კავკასიის ბირჟა"-ზე.

დარეკეთ ჩვენთან : 39-00-71
BACCIT - საიმედობა და პროფესიონალიზმი

საქონელი კუპონებით

ფოთში იტვირთება გემი, რომელმაც საქართველოში ჩამოიტანა მზესუმზირის ზეთი ბულგარეთიდან. ამ დღეში დაიწყება მისი გაყიდვა სიებით თბილისის მაღაზიებში — ფასი ერთი ლიტრი 320 მანეთი. გაცემის ნორმაა 1 ლიტრი ერთ სულ მოსახლეზე.

რაც შეეხება თურქეთის ბუტერბროდის მარგარინს, მას შეცვლის ჰოლანდიიდან მიღებული ახალი პარტია და თბილისის მოსახლეობა შეძლებს იყიდოს იგი წინანდელი ფასებით. ნორმაა ნახევარი კილოგრამი, კილოგრამი ღირს 640 მანეთი.

ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროში. მინისტრის პირველმა მოადგილემ თეიმურაზ ხურციძემ კატეგორიულად უარყო ჭორები იმის შესახებ, რომ კუპონების შემოღების შემდეგ კილოგრამი შაქრის ფასი გაიზრდება.

— ინფლაციისა და ქართული კუპონების შემოღების მიუხედავად, — თქვა მან, შაქრის ფასი ხუთი თვის მანძილზე დარჩება მუდმივი — 170 მანეთი ან კუპონი.

უკვე დასახელებულ სახეობათა პროდუქციის გარდა, კუპონებით შეგიძლიათ იყიდოთ რესპუბლიკაში გამოშვებული სამრეწველო და სასურსათო საქონელი: ღვინოარყის, მაკარონის ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები და სხვა. მეფრინველეობის მრეწველობა გვპირდება კვერცხის მოწოდებას სავაჭრო ობიექტებში. თამბაქოს ფაბრიკები ვალდებულებას კისრულობენ მაღაზიები მოამარაგონ სიგარეტებით. რა თქმა უნდა, მცირეა რესპუბლიკაში წარმოებული საქონლის ნუსხა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტებით — შაქრით, ცხიმით, პურით — მოსახლეობა შეუფერხებლად იქნება უზრუნველყოფილი.

მოუთმენლად მოველით რუსეთისა და საქართველოს სამთავრობო დელეგაციების მოლაპარაკების შედეგებს. ეკონომიკურ შეთანხმებაზე ხელმოწერას. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა გზას გაუხსნის საქონლის მოწოდებას რუსეთიდან, რომელთანაც დამყარებულია მტკიცე და საიმედო კონტაქტები. არიან პარტნიორები, რომლებსაც სურთ ჩვენთან ვაჭრობა.

ლარისა თუმანიშვილი.

„მიიღეთ, კუპონი პურისათვის...“

დაახლოებით 70 პროცენტით ამოქმედდა ახლა რესპუბლიკის წისქვილკომბინატების სიმძლავრეები. ვარაუდობენ, რომ მათი დატვირთვა გაიზრდება ყაზახეთიდან საქართველოში ხორბლის პარტიის შემოსვლასთან ერთად, ამიტომაც ტრანსპორტის მუშაკთა ამოცანაა ყველაფერი იღონონ მისი მიწოდების დაჩქარებისათვის, ითქვა რესპუბლიკური სასურსათო კომისიის მორიგ სხდომაზე.

სხდომის მონაწილეებმა, რომელიც საქართველოს ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, მოიყვანეს ფაქტები, როცა ზოგიერთი სახელმწიფო პურის მაღაზიის გამყიდველებმა არ მიიღეს მიმოქცევაში შემოსული კუპონები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ შესაბამისი სამსახურები მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ სფეროში ჯეროვანი წესრიგი. ამასთანავე გამოითქვა იმედი, რომ როცა დამრგვალდება პირველი საჭიროების პროდუქტების საცალო ფასები და ბრუნვაში შემოვა წვრილი ბანკნოტები, ანგარიშსწორების დროს პრობლემებიც ნაკლები იქნება.

კომისიამ განიხილა, კერძოდ, საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დროს რესპუბლიკის რეგიონების საწვავით მომარაგების საკითხებიც. სერიოზულად გააკრიტიკეს იმ რაიონების ხელმძღვანელები, რომლებიც დანიშნულებისამებრ არ იყენებენ მინდვრის სამუშაოებისათვის დიდი გაჭირვებით მოპოვებულ დიზელის საწვავსა და ბენზინს.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

ახალციხე. პირველი ერთობლივი საწარმო შექმნეს აქ საქართველოს „ფერადი ქვების“ საწარმოო გაერთიანებამ და ავსტრიის სამრეწველო-კომერციულმა ფირმამ „ზაიზენბახერმა“. იგი მოიპოვებს და გადაამუშავებს მოსაპირკეთებელ ქვებს, რომლებითაც მდიდარია მესხეთ-ჯავახეთი. აქატის, გრანიტის, პირიტის, ცელესტინის, სპაზოლიტისა და სხვა ფერადი ქვებისაგან დამზადებული სამკაულები გაიგზავნა საქართველოს სავაჭრო ქსელში, მათ გაყიდიან აგრეთვე გერმანიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, ბულგარეთსა და იაპონიაში. ახალმა საწარმომ დაიწყო სადაზვერვო სამუშაოები ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონებში, სადაც, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ასევე უხვად არის ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვების მარაგი.

ჟინვალი, 6 აპრილი. გამწვავდა ჟინვალის წყალსაცავის შევსების პრობლემა. პროექტის თანახმად, იგი უნდა იტევდეს 370 მილიონ კუბურ მეტრ წყალს. მაგრამ, დღეისათვის დატბორვის ზონიდან, სოფელ ანანურის მიდამოებიდან ვერ შეძლეს გამოესახლებინათ 19 ოჯახი. თავის დროზე მათ მიიღეს ფულადი კომპენსაციაც და სახლებიც ახალ ადგილზე. ამავე დროს, წყალსატევის მთლიან შევსებასა და მის სრულფასოვან მოქმედებას ამ მიზეზით აკლდება 120 მილიონი კუბური მეტრი წყალი.

ეს საკითხი, როგორც საწარმოო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენში“ მიიჩნევენ, მწვავედ დგას რესპუბლიკის ენერგეტიკოსების წინაშე და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს.

წერილი რედაქციას

დგანან და ელიან

ისეთი რა გაგვიჭირდა, რომ ერთი, თუნდაც „პაზ“-ის ტიპის ავტობუსი ვერ გამოვძებნეთ და თბილისის აეროპორტში დღედაღამ არ ვაწორიგებთ — აფხაზეთიდან ჩამოსული მებრძოლები საათობით დგასაო ტრანსპორტის მოლოდინში, გამვლელ-გამომვლელს ამაოდ ეხვეწებიან, მეტრომდე მაინც მიგვიყვანეო... ერის საუკეთესო ნაწილს თუ არ გავუფრთხილდით, მასზე ჯეროვნად არ ვიზრუნეთ, მაშ რანი ვიქნებით. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ თავდაცვისა თუ რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროებს, ფირმებსა თუ კომპანიებს, ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინონ, ნატანჯ-დაქანცულებს ზედმეტი წვალება აარიდონ, გამოძებნონ საშუალება და ეს, არც ისე რთული პრობლემა, სასწრაფოდ მოაგვარონ.

წუხელ აეროპორტიდან გზად თბილისში მომავალმა, ხუთი გვარდიელი, რომლებიც ბაბუშერასთან იბრძვიან, წამოვიყვანე. სწორედ მათი თხოვნით დავწერე ეს სტრიქონები...

სანდრო მამასახლისი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ჯიქი — უმაღლეს ლიგაში

მიხეილ კაკილიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დამთავრდა რესპუბლიკის ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდთა კლუბებს შორის, რომელმაც გამარჯვება და უმაღლესი ლიგის საგზური მოუტანა საქართველოს წყლების სახლის გუნდ „ჯიქს“.

საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „შევარდენის“ მეორე კოლექტივი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, დებულების თანახმად, უნდა შეხვდეს რანგით უფროსთა დივიზიონში ბოლოსწინა ადგილზე გასულს.

საინტერესოა, რომ „ჯიქმა“ და „შევარდენი-2“-მა ტურნირი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაასრულეს, მათ პირად შეხვედრებშიც თანაფარდობა აღინიშნა და წყლების სახლის გუნდის უპირატესობა მხოლოდ ბურთების უკეთესმა სხვაობამ განაპირობა.

ექიმ ფეხბურთელებს მიიწვევენ...

სპორტკომპლექს „იმედის“ სარბიელზე გრძელდება საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. 4 სათამაშო დღის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით — 8 ერთპიროვნულად ლიდერობს „ვესტა“. გთავაზობთ ტურნირის მესამე და მეოთხე ტურების ტექნიკურ შედეგებს: „ვესტა“ — „გაზი“ — 7:3, „ორნატი“ — „მენედა“ — 5:4; „ვაკე“ — „თუთარჩელა“ — 10:2, „იბერია“ — „ხომლი-90“ — 3:2, „ერქვანი“ — „ძლევაი“ — 6:4, „იმედი“ — „ლაბირინთი“ — 10:1, „ქორები“ — „მერიდიანი“ — 3:3, „მერიდიანი“ — „ხომლი-90“ — 2:2, „მენედა“ — „თუთარჩელა“ — 4:2, „ვესტა“ — „ძლევაი“ — 3:3, „გაზი“ — „იმედი“ — 3:2, „ორნატი“ — „ლაბირინთი“ — 9:3, „ერქვანი“ — „ქორები“ — 4:1, „ვაკე“ — „იბერია“ — 7:6.

გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელი შეხვედრის ბოლო წუთზე გამარჯვებულთა და მათ „გულშემატკივართა“ მიერ მსაჯზე — ნუგზარ კილაძეზე განხორციელებული „შტურმი“ (თუნდაც არბიტრის საეჭვო გადაწყვეტილების შემთხვევაში) სამარცხვინო ლაქად დააჩნდება პირველ ეროვნულ ჩემპიონატს. ასპარეზობის ორგანიზატორებს მხოლოდ ერთი კითხვით ვესურს მივმართოთ — დებულების მიხედვით როდის იხსნება გუნდი შეჯიბრებიდან?

ივნისში იტალიის ქალაქ ვენეციაში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი მედიკოსთა შორის, რომელშიც საქართველოდან ოფიციალურად მიწვეულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო კლუბი „მენედა“ (კლუბის პრეზიდენტი — ბავშვთა კარდიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გოგი ჩახუნაშვილი). მომავალი მნიშვნელოვანი ასპარეზობისათვის ექიმ-ფეხბურთელთა მზადების შესახებ სპორტკომპლექს „იმედში“ შევხვდით და გავესაუბრეთ „მენედას“ მოთამაშე-მწვრთნელს, სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობის კათედრის უფროს მასწავლებელს **მახტანგ ბაქანიძეს:**

— ჩვენი გუნდი 1988 წელს ჩამოყალიბდა მაშინდელი სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე, ხოლო 1990 წელს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ პრეზიდიუმის სხდომაზე იგი ოფიციალურად გაფორმდა კლუბად. მასში ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად თამაშობენ ქალაქის სამედიცინო პროფილის სხვა დაწესებულებათა თანამშრომლებიც.

ვენეციაში იუნისში მედიკოსთა სამეცნიერო სიმპოზიუმი ეწყობა და მომავალი ტურნირი ამ პრესტიჟული ფორუმის პროგრამაში შედის. სიმპოზიუმის დიდ მნიშვნელობაზე ექიმთა მრავალმხრივი კონტაქტების გაფართოების საქმეში ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი რამაზ ხეცურიანი, რომელიც ყოველთვის მხარში გვიდგას და მაქსიმალურად ცდილობს დაგვეხმაროს გამგზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

რაც შეეხება მინი-ფეხბურთელთა პირველ ეროვნულ ჩემპიონატს, აქ მონაწილეობას გენერალურ რეპეტიციად მივიჩნევთ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების პროცესში. დავძენ, რომ „მენედა“ მედიკოსთა ერთადერთი კლუბია რესპუბლიკაში.

დასასრულ, ქართველ ექიმფეხბურთელებს წარმატებით გამოსვლას ვუსურვებთ აპენინის ნახევარკუნძულზე, მათ შესაძლო სპონსორებს კი გაცნობებთ კლუბის რეკვიზიტებს: **თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, შემნახველი ბანკი 8523, ა/ა №000164701 „მენედა“ — 2280.**

ჩოგბურთი

პირველი შედეგები

გაიმართა ფეხბურთელთა პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები. მათი შედეგები ასეთი გახლავთ: თასების მფლობელთა თასი. „ატლეტიკო“ — „პარმა“ — 1:2. უეფას თასი. „იუვენტუსი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ — 2:1, „ბორუსია“ — „ოსერი“ — 2:0.

უძლიერესთა ათეული

პროფესიონალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასოციაციამ ამ დღეებში გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს ქალთა ახალი ათეული, რომელიც ასე გამოიყურება:

1. შტეფი გრაფი (გერმანია), 2. არანტა სანჩესი (ესპანეთი), 3. მონიკა სელეში (იუგოსლავია. იგი ერთი თვეა არ გამოსულა კორტზე) 4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) 5. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 6. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 7. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 8. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) 9. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 10. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

ქალთა წყვილებში პირველ ადგილზეა ჯიჯი ფერნანდესისა (აშშ) და ნატალია ზვერევას (ბელარუსი) დუეტი.

2+ სასტაული

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სასტაული+2“

შეისყიდის:
T-16
T-25
T-40
ტრაქტორებს მხოლოდ ვალუტით.
აგრეთვე ზაპოროჟეცის მარკის ავტომობილებს.
ტელეფონი: 30-30-18, 9-დან 6 საათამდე.

ყურადღება!

ვისაც საშვილიშვილო საქმის კეთება გიყვართ!
რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქნერგი“

გაცნობებთ!

ჩვენს სანერგე მეურნეობებს საკმაო რაოდენობით აქვთ სხვადასხვა ჯიშისა და ჯურის ხეხილისა და ციტრუსების ხარისხიანი ნერგები, რომლებსაც შეუფერხებლად შეიძენთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების სანერგე მეურნეობებში.

ბოლნისში შეისყიდით: — რქაწითლის, კახური მწვანისა და საფერავის ვაზის ნერგებს.

უჯარმაში: — რქაწითლისა და საფერავის ნერგებს.

საგარეჯოში: — (უჯარმის სანერგე) ვაშლის, მსხლის, ატმის, გარგარის, ქლიავისა და ტყემლის ნერგებს.

ქალაქ თბილისის სანერგე მეურნეობაში: — ვაშლის, ტყემლის, კაკლისა და ვარდის ნერგებს.

გორში: — (ქიწნისის სანერგე) ყველა სახის თესლოვანებისა და კურკოვნების ნერგებს, ბლის გარდა.

ქარელში: — (ბებნისის სანერგე) ყველა სახის ხეხილის ნერგებს, ბლის გარდა.

ახალციხეში: — ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და ალუჩის ნერგებს.

დასავლეთ საქართველოში

ზესტაფონში: — (სვირის სანერგე) ამ ზონაში გავრცელებული ციცქის, ცოლიკაურის, კრახუნის, ოჯალეშისა და ოცხანურის ვაზის ნერგებს. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ხეხილის, მსხლის, ატმისა და ბლის ნერგები.

სენაკში: — (სენაკის სანერგე) ატმის, ტყემლის (წითელი დროშა, გულდედავას) ნერგებს.

ხობში: — (პირველი ხორგის სანერგე) ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, კარალიოკის, დაფნისა და ტუნგის ნერგებს.

ფოთში: — ლიმონის, მანდარინის, ხურმისა და ლეღვის ნერგებს.

ოზურგეთში: — (ურეკის სანერგე) ლიმონისა და მანდარინის ნერგებს.

გაითვალისწინეთ, ნერგების ღირებულება, ბაზრის ფასებთან შედარებით გაცილებით იაფია და დაცულია ჯიშური სიწმინდე.

მოგყიდით, როგორც ძლიერ, ასევე ნაგალა საძირეზე დამყნობილ ნერგებს. მათი შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. ისე, რომ წარმოება-დაწესებულებებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებსა და სხვა მსურველთ შეუძლიათ, თანამშრომლებისათვის შეღავათიან ფასებში, შეიძინონ სისტემაში გამოყვანილი ნერგები.

იჩქარეთ! დრო არ ითმენს, ნუ დაარღვევთ ნერგის დარგვის აგროწესებს. დარგეთ შვილიშვილისათვის ჩვენს სანერგეებში გამოყვანილი სამახსოვრო ნერგი.

გახსოვდეთ! ჩვენი ნერგი ორჯერ უფრო იაფი და ხარისხიანია!



ერთად უნდა ვებრძოლოთ

ტეხასური სინდრომი

საზოგადოებრიობისათვის უკვე ცნობილია, რომ 31 მარტს, მთაწმინდაზე, მამა დავითის ტაძრის სიახლოვეს იპოვეს სამი ახალგაზრდა ქალის — 18 წლის თეა გაბუნიას, 24 წლის მაია თოდრიასა და 18 წლის ნინო ფირცხალაიშვილის გვამები.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად პოლიცია დაადგა მკვლელის, 23 წლის კასპელი ზაზა იორდანიშვილის კვალს, რომელმაც თავის საცხოვრებელ ბინაში წინააღმდეგობა გაუწია ოპერჯგუფს, ააფეთქა რა ხელყუმბარა, მძიმედ დაჭრა კასპის რაიონის პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე, თვითონ კი დაიღუპა. ახლა ისიც ცნობილია, რომ ორ დანარჩენ, ზ. იორდანიშვილის თანმხლებ „ვაჟკაცს“ მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ...

წინა კვირას ერთობ გააქტიურდა კრიმინალური სამყარო. სავარაუდოა, რომ ეს ამ დღეების ცნობილი მოვლენების „წაქეზებით“ მოხდა.

როგორც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა **ედუარდ ზენძიძემ** გვითხრა, 27 მარტიდან 4 აპრილამდე რეგისტრირებულია 290 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან გახსნილია 140. მკვლელობის 29 შემთხვევიდან, გახსნილია 18. სამართალდამცავი ორგანოებისთვის ეს ცუდი ციფრი არ არის, მაგრამ მკვლელებისა და მათი პირისუფლებისათვის ამას, აბა, რა მნიშვნელობა აქვს?!

⁂

გამრავლების დიდი უნარი ახასიათებს ბოროტებას, სიავკაცეს: ამიტომ ადამიანმა, მთლიანად ერმა, ისე უნდა იცხოვროს, რომ ის პირველი ბოროტება, პირველი სიავკაცე არ გამრავლდეს, არ აჰყვეს. მესმის, სატანის სახეებითაც იპადებიან, მაგრამ ადამიანის საწყისი, მისი გაჩენის მიზანი მაინც სიკეთეა, მოყვასის, ქვეყნის უანგარო და უპრეტენზიო სამსახურია... ახლა გაჰკივიან: ყველა ძარცვავს, ქურდობს, ყაჩაღობს, კლავს — მე რას მერჩითო?! — ცივილიზებული (თანამედროვე ევროპული) კაცის ინდივიდუალიზმი, თავისთავადობა აკლია ჩვენს მოქალაქეს, საზოგადოების ნაწილს. კვლავ კოლექტივიზმის ურჩხულს ჰყავს ტყვეობაში „ანგელოსთა სულები“...

„მე ვარ და ჩემი ნაბადიო“, გაიგონებ ხშირად, ეს სიტყვები რაღაც ფორმით ჩვენი ერის პოტენციის, ენერგიის ამჩვენებელიც არის, მაგრამ მისი თქმა და ქმნა მაშინაა გამართლებული, როცა ამ პოტენციას ერის სასიკეთოდ წარმართავ და არა მის დასათრგუნად, საზიანოდ.

რთულია ქმნადობის, მამულიშვილად ჩამოყალიბების პროცესი. — ამას მსოფლიო ისტორია ადასტურებს. ამასთან, ჯიდია ბოროტებასთან ბრძოლაში, სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ადმინისტრაციული, სამართალდამცავი ორგანოების, კერძოდ, პოლიციის როლი; მაგრამ ერთი პოლიცია, თუნდაც თავით ფეხებამდე შეიარაღებული, ვერაფერს გახდება, ვერ მისცემს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს ტკბილი ძილის გარანტიას, თუ ადამიანები ჯერ საკუთარ სულში არ მოახდენენ რევოლუციას, საკუთარი ტვინის უჯრედებში არ დაამსხვრევენ მრუდე სარკეებს, რომლებშიც მთელი ცხოვრება, გაჩენა, სამყარო ასევე მრუდედ, დამახინჯებულად დაფიქსირებულა და არეკლილა.

ამას მარტო სიტყვისთვის არ ვამბობ. მართალია, გააქტიურდა პოლიცია, ჩვენი ცხოვრების ატანაც ცოტათი გაიოლდა, ღამე მგზავრობა და ძილიც შედარებით უსაფრთხო გახდა, გაიხსნა ათობით უმძიმესი დანაშაული, მაგრამ კლიმატივით და მსოფლიოს ბედივით კვლავ მძიმეა კრიმინოგენული სიტუაცია. ეს ომიო, ეს სუბიექტური თუ ობიექტური ხელშემწყობი პირობებიო... და დამნაშავეთა სამყარომ ფაქტობრივად ომი გამოუცხადა სამშობლოს, პოლიციას, თითოეულ მშვიდობიან მოქალაქეს. — ეს სულაც არ არის სამოქალაქო ომზე ნაკლებად საშიში და ეს მაშინებს მე. საქართველო ამერიკა როდია — ვერ გაუძლებს, ვერ დააფინანსებს ძვირადღირებულ საბრძოლო ოპერაციებს კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ. ამიტომაც ვამბობ: იქნებ გონს მოვიდეს ჩვენი ხალხი, გაიცნობიეროს თავისი მდგომარეობა, იაპონური მაგნიტოფონისთვის ნუ მოკლავს მეზობელს, დოლარისთვის ნუ გაყიდის სინდისს, ტყავის ქურთუკისთვის ნუ გაძარცვავს სამშობლოს... რაღაც ახირებული იდეისთვის თავიდან ნუ აიგორებს ძმათაკვლის ბორბალს.

მდიდარიც და ღარიბიც, ბოროტიც და კეთილიც დღეს ერთნაირად უბედურია ამ ყოფაში. ამიტომ ვამბობ ისევ: „ტეხასურმა სინდრომმა“ ამერიკა ჩაყლაპა კინოლამ, საქართველოს კი დაღუპავს, იცოდეთ.

უკვე ათობით პოლიციელი შეეწირა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებს, კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლას. შედარებით მშვიდობის ჩამოგდებას უკვე დასჭირდა პირტიტველა „ფორმიანი ბიჭების“ საკმაოდ სოლიდური მსხვერპლი (ამის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას მომდევნო მიმოხილვებში მოგაწვდით).

3 აპრილს, 23-24 საათზე, უმუშევარმა, 33 წლის რომან თევზაძემ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით მოკლა საქართველოს რესპუბლიკის საგზაო პოლიციის სამტრედიის რაიონული განყოფილების პოლიციელი, 25 წლის რომან კობახია და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2 აპრილს კი, დაახლოებით 21 საათზე, თემქის დასახლებაში, 153-ე საშუალო სკოლის წინ, დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ავტომატით მოკლა ნაძალადევის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, 34 წლის გოგი ცეცაძე და ფეხის არეში დაჭრა ამავე განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი, 34 წლის გიორგი შამშელაშვილი.

ჩხატაურში, რაიონის ჩამოვლაზე გასული ოპერჯგუფი სოფელ ბუკნარში წააწყდა ავტომატური იარაღითა და ხელყუმბარით შეიარაღებულ ორ ბოროტმოქმედს, რომლებმაც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ცეცხლი დაუშინეს პოლიციელებს. ამ საბედისწერო შეტაკების დროს დაიღუპა ადმინისტრაციული პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი გივი იათიძემვილი, თუმცა ბოროტმოქმედებიც ადგილზე მოკლეს.

შემთხვევით არ ვიტყვით: „ტეხასური სინდრომი“ მოედო მთელს ქვეყანას-მეთქი. ეს ლინჩის წესით გასამართლებაო, ეს თავში ნაჯახის ჩარტყმაო... „მეორედ მოსვლაა სწორედა“, ადამიანები საკუთარ ნაცნობებს, ახლობლებს აღარ ინდობენ. აბა, სხვა რას მივაწეროთ ის ფაქტები, რომელიც ამას წინათ მოხდა სიღნაღისა და მარნეულის რაიონებში?

სოფელ ერისიმედის ბგურის ქარხნის მუშამ, ადრე ნასამართლევმა, 40 წლის ლამარა მანიამ ქარხნის ტერიტორიაზე ანგარების მიზნით, თავში ნაჯახის ჩარტყმით მოკლა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 50 წლის, უმუშევარი ქამილ ნაგიევი და გვამი მდინარე ალაზანში ჩააგდო.

აი, სოფელ თაზაქენში მცხოვრებმა, უმუშევარმა, 25 წლის ბახრამ იუსუპოვმა საკუთარი სიდედრი და ცოლ-შვილიც კი გაიმეტა. „ნერვებმოშლილმა“ ნაჯახით მოკლა სიდედრი, დაჭრა თავისი მეუღლე მალეიკა გაჭიევა, 3 წლის შვილი ნაზამირ გაჭიევა და მიიმალა.

გახშირდა მკვლელობები ჯარისკაცთა შორისაც. 30 მარტს სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს გაგრის „მხედრიონის“ წევრი გიგლა ხარებავა. მკვლელობაში ეჭვმიტანილნი, ასევე „მხედრიონელები“, ამჟამად მიმალულნი არიან.

წინა შემთხვევისგან განსხვავებით, დაკავებულია სოხუმის სადესანტო ბატალიონის ჯარისკაცი, 20 წლის გიორგი ბოკუჩავა, რომელმაც თავის სახლში მოკლა სასაზღვრო რაზმის მძღოლი, 55 წლის ვადიმ ასეევი.

არის შემთხვევები, როცა მამა შვილს კლავს, შვილი — მამას... 30 მარტს სოხუმში ნახეს 85 წლის პროკოფი ოდიშარიას ნახევრად დამწვარი გვამი. მთვრალმა, 47 წლის გოგი ოდიშარიამ მოკლა მამა, გვამი კი დაწვა...

დღეს, ძირითადად, წინა კვირის მკვლელობებზე გესაუბრეთ. თუმცა მრავლად არის „ტეხასური სინდრომის“ სხვა ნაირსახეობებიც.

მკვლელობა, რომელიც ასე გახშირდა ჩვენში, ადამიანის სიცოცხლის, საერთოდ, ბუნების, ღმერთის წინააღმდეგ მიმართული დიდი, საშინელი დანაშაულია და გამართლება არა აქვს. მკვლელობებსა თუ ე. წ. „შურისძიებებს“ თავისი სოციალური მექანიზმი ამოძრავებს, რომელსაც გამოკვლევა სჭირდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, ამგვარ დანაშაულობებს სპეციალური ინსტიტუტები სწავლობენ, რადგან ცნობილია: პირს რომ ებრძოლო და მოერიო, ჯერ მისი ბუნება უნდა გამოიკვლიო. დროა, ამ საქმეში თავისი სიტყვა თქვან ჩვენმა ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, გინდ პოლიტოლოგებმა, მწერლებმა, რადგან საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

სკრუპულოზურად, მეცნიერულ დონეზე, მამულიშვილური შემართებით არის შესასწავლი იარაღის შენახვისა და ფლობის საკითხიც... წარმოიდგინეთ, თვით ამერიკელებსაც აწუხებთ ეს პრობლემა და დღესაც კი მწვავედ კამათობენ კონსტიტუციის ცნობილი მეორე შესწორების თაობაზე.

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА